წელიწადი მეორე ფასი 10 კაპ. კვირა, 25 ენკენისთვე 1916 წ. № 213

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ფასი [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი გაზეთისა:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხარიტონ შანშიაშვილი.**

---

თბილისის ქართული სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე კომიტეტი ამით აცხადებს, რომ უხვი შემომწირველის გარდაცვალებულის

## სალომე ზექანის ასულის
## გურგენიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 25 ამა ენკენისთვეს სურპ, მინასის ეკლესიაში (ციციანოვის აღმართი, იორის ქუჩა). წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ და პანაშვიდი 11 საათზედ. (2—346—2)

---

გულდამწვარი მეუღლე მღ. ვასილ ახმეტელაშვილი, მისი შვილები: დათა, ილო, ალექსანდრე და გიორგი, რძალი ანასტასია ივანეს ასული, შვილის-შვილი—შალვა ალექსანდრეს ძე ახმეტელაშვილები, ასული ეკატერინე და სიძე გიორგი მუხაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 ენკენისთვეს სოფ. ანაგაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

## მარიამ ივანეს ასულის
## ახმეტელაშვილის

სულის მოსახსენებლად.

---

კნ. ნინო ზაქარიას ასული ნიჟარაძისა შვილებითურთ: თამარი, მარგარიტა, კოლია და შალიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარის ქმრის და დანარჩენის ძვირფასი მამის

## თავად ლუარსაბ (იოსები) ნიჟარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათ. ალექსეევის ქ. № 8. მიცვალებულს წაასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში კვირას, 25 სექტემბერს, დილის 10 საათ. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე წირვის შემდეგ. (2—345—2)

---

## ბათომის ხელის-მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „საქართვ.“-ს კანტორა უმორჩილესად სთხოვს ბათომის ხელის მომწერთ გაზეთის ხვედრი ფული შეიტანონ წიგ. მაღაზია „განთიადში“

---

## თბილისის გუბერნიის
## თავად-აზნ. წინამძღოლი

სთხოვს თავად-აზნაურთ დაესწრნენ

## საგანგებო კრებას

**ამა წლის 2 ოქტომბერს დღისით 12 საათზედ**

დეპუტატთა საკრებულოს შენობაში, ორის წარმომადგენელის ასარჩევად, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში თავად-აზნაურთა საზოგადოებათაგან

---

## სასცენო სტუდია
## ა. ნ. ვორონოვის
## ხელმძღვანელობით.

**მეცადინეობა რუსულსა და ქართულს ენაზე**

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

ბაუერ-ზაქსი—პლასტიკას.
ვორონოვი—დიქცია-დეკლამაციას და სასცენო ვარჯიშობას.
ელპის-ზარაფიდი—გიმნასტიკას.
პეტროკოვსკი-გრიმსა დ ტანთსაცმელს (კოსტიუმს), ისტორიას.
რატოვი—მიმოდრამას.
რობაქიძე—ესთეთიკას.
ახმეტელი—თეატრის ისტორიას.

**მეცადინეობა უკვე დაიწყო.** მოწაფეთა მიღება გრძელდება. ცნობების გაგება შეუძლიანთ ყოველ-დღე 12—1 საათზე დღისით და საღამოთი $3^1/_2$—$4^1/_2$ ს., ნიკოლოზის ქ. 64, ბინა ვორონოვისა. (თ.—254—5)

---




„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძალიან იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგ:ით ამზადებს.

**სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი**

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—8) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური

---

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური ხაჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

---

**ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელ. საზოგადოების**

## ქუთაისის განყოფილების

გამგეობა ეძებს თავისი სტამბისთვის გამგეს, რომელსაც ცოდნა და გამოცდილება ჰქონდეს, როგორც სტამბის წარმოების ტეხნიკურ მხარეში, ისე მის ადმინისტრატიულ ხელმძღვანელობაში.

**ჯ ა მ ა გ ი რ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი თ**

მსურველთ თავისი განცხადება უნდა წარმოადგინონ ქუთაისის განყოფილების კანცელარიაში (შავი ქვის საბჭოს ბინაზე) ამა წლის 1 ოქტომბრამდე. (6—251—6)

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბის მამასახლისთა
## ს ა ბ ჭ ო

იწვევს ბ.ბ. კლუბის წევრთ 25 ენკენისთვეს დღის 12 საათზე საგანგებო კრებაზედ ფრიად საჭირო საკითხთა გასარჩევად (1—256—1)

---

## ე ქ ი მ ი
## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოპანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს** ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣли), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

**შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა**

---

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

ე ქ ი მ ი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

---

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ე ქ ი მ ი

## ა. დ. შაჰაგაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

◆პროვიზორის აზვლედიანისა◆

---

დ. ზისტაფონში

## ე ქ ი მ ი
## დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

---

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს

## სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი

დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24. (თ. 343—4)

---

## თბილისის მაზრის
## თავად-აზნ. წინამძღოლი

სთხოვს თავად-აზნაურთ დაესწრნენ

## საგანგებო კრებას

**ამა წლის 2 ოქტომბერს დღისით 12 საათზედ**

დეპუტატთა საკრებულოს შენობაში, თბილისის მაზრის თავად-აზნ. წინამძღოლის თანაშემწის ასარჩევად.

---

## გორის მაზრის
## თავად-აზნაურობის წინამძღოლი

სთხოვს მაზრის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ საგანგებო კრებაზედ, რომელიც შესდგება

## ქალაქ თბილისში

2 ოქტომბერს ამა წლისას, დღისით 12 საათზედ, დეპუტატთა საკრებულოს სადგომში, გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანაშემწის ასარჩევად. (1—257—1)

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობა)

**კვირას, 25 ენკენისთვეს,**

უკანასკნელად საზაფხულო სადგომში რუსულ ენაზედ ვრცელი დ საინტერესო

## ბ ა ზ ა რ ი

სამს განყოფილებად

**წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.** ✦ **დასაწყისი ღამის 9 საათზე.** (1—255—1)

---

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.** (102—წ.)

---

ღ ვ ი ნ ი ს ს ა წ ყ ო ბ ი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

✦ **იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი** ✦

## კახური ღვინო

**განთვის ქუჩა № 4.**

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. (185—წ.)

---

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

**ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა**

**ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასზ**

## საკუთარი ტყიდან

**ხაწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

---

## ქართული საქალწავლებლო სემინარია

დღეს ქართველ ქალთა სემინარიის კურთხევის დღეა. ამ „ცეცხლის კიდების“ დროს ძნელია ღირსეულის ყურადღებით აღნიშვნა ამ უპრეტენზიო კულტურული დღეობისა, რომელიც თარიღია ახალი ხანის დაწყებისა ჩვენი თაობათა სწავლა-აღზრდის საქმეში. წყნარად და ჩუმად ჩაივლის ეს დღესასწაული, როგორც წყნარად და ჩუმად შეჰქმნეს ეს დიდი საქმე მისმა მესვეურებმა,—„განათლების“ საზოგადოებამ. ამ სემინარიის გახსნით ქართულ საზოგადოებას ენიჭება პირველი ქართული სასწავლებელი, სადაც სწავლება ქართულ ენაზე იწარმოებს სავსებით, მთლიანად, ორიოდე სავალდებულო საგნის გამოკლებით—რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიისა.

რაც ვერ გაბედეს და ვერ შესძლეს ეგრეთ წოდებულმა ქართულმა სათავად-აზნაურო გიმნაზიებმა, ეს შესძლო „განათლების“ საზოგადოებამ. სიმპტომატიური ისაა, რომ ეროვნული სულის გამეფება სწავლა-აღზრდაში კვლავ ქართველ ქალების გარშემო ხდება და ხორციელდება. ეს მეტად სასიხარულო და საგულისხმო მოვლენაა.

ყველასაგან ცნობილია ჭეშმარიტება, რომ ეროვნული შემოქმედების ფრთა-უკვეცი გამოცხადება, საერთოდ ეროვნული აღორძინება მტკიცე ეროვნულ აღზრდაზე აღმოცენდება. ჩვენი რადიკალური ეროვნული გადახალისება მოჰყვება სადი ეროვნული სკოლის გამეფებას, რაიც შეუძლებელის სფეროში დარჩება, ვიდრე დღევანდელ პოლიტიკურ ფარგლებში ჩაჭედილი დავრჩებით. „განათლების“ საზოგადოება გვაძლევს იმის მაგალითს,

რომ მძიმე-მძიმედ დღესაც შეიძლება ეროვნული სულის დაცვა ჩვენსავე თაოსნობით დაარსებულ სკოლებში, უკეთუ ხელს ავიღებთ ზოგიერთ "უფლება-უპირატესობაზე", რომელიც, კაცმა რომ სთქვას, უფრო ეროვნული გადაგვარების „უფლება" არის: ამ „უფლება-უპირატესობის" მაცდურება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი სამშობლო ენისა და ეროვნული სწავლა-აღზრდის მთელი წარსული ტრადიცია და სიყვარული! ეს ძველი გზა და ჩვენი ეროვნული აღდგომა ერთი მეორესთან მოუთავსებელია. ერთის მეუფება მეორის სრული უარყოფაა. მთელი მეცხრამეტე საუკუნე და მიმდინარე მეოცე საუკუნეც სწავლა-აღზრდის მხრივ ჩვენი ნაძალადევი ეროვნული გადაგვარების ექსპერიმენტის საუკუნეებია. დღეს ამ „უფლების" უარყოფაზე აღეგო ქალთა ქართული სემინარია. „განათლების" საზოგადოებამ მიაგნო იმ გზას, რომელ გზითაც უნდა მოხდეს ჩვენი ეროვნულ-კულტურული აღორძინება. არამც თუ მიაგნო, არამედ იგი პრაქტიკულად ამ გზას დაადგა. ქართველი კაცის ეროვნული პროტესტის გრძნობა ჩვენში დამყარებულ სწავლა-აღზრდის წინააღმდეგ ამ სემინარიის დაარსებით ზნეობრივ დაკმაყოფილებას ჰპოვებს.

ამ გზით ჯერ არვის უვლია. იგი სრულიად გაუკაფველია, ბევრი სიძნელე, დაბრკოლება დაგვხდება წინ. მაგრამ იმ დიდმა მიზანმა, რომელმაც შექმნა ეს სკოლა, გზის სიძნელე უნდა გადაგვალახვინოს. ეს მაგიდითი შეიძლება წამხალისებელიც შეიქნეს და ხალისის ჩამკვლელიც. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წაიყვანენ საქმეს მისი სულის ჩამდგმელნი. დიდი ეროვნული პასუხისგება აწევებათ მათ კისერზე. დარწმუნებული ვართ, ყოველივე ეს გათვალისწინებული ექნებათ საქ?ის მესვეურებს და თუ მაინც ამ ძნელ საქმეს არ მოეშვენ, სჩანს ავტორებს შესწევთ საკმაო ძალა და ენერგია, ცოდნა და სიყვარული ამ საქმის გასაძღოლად. გზა დაგვილოცნია. ახსოვდეთ, რომ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიან".

გ. ვაშაძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

სასტიკი ბრძოლა კვლავ სწარმოებს როგორც აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე, ისევე რუმინეთის ასპარეზზე. საგულისხმოა, რომ რუშჩუკსა და ტურტუკაის შუა „ მდ. დუნაიზე გადმოსული რუმინელების ჯარი იძულებული გამხდარა ისევე უკანვე გაბრუნებულიყო. ეტყობა გერმანელებს მოუსწვრიათ ჯარების მიშველება. რუმინელებს რომ აქ დაწყებული ოპერაცია გაეფართოვებინათ, მაშინ მთელი გერმან-ბულგარების ჯარი საშიშ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რადგან უეჭველია ზღვის მიმართულებით გზას გადაუჭრიდნენ და მთავარ საკვებ ბაზას მთელ ჯარს მოსწყვეტდნენ. წინდაწინვე მოსალოდნელი იყო გერმანელებისაგან სასტიკი ზინააღმდეგობა სწორედ ამ მიდამოებში.

გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გვატყობინებს, რომ დობრუჯში ანტიბის ახლოს სასტიკი ბრძოლა დაიწყო. შეიძლება კაცმა იფიქროს, აქ ინიციატივა უფრო გერმანელებს ეკუთვნის. რაკი რუმინელები უკანვე გადარეკეს მდ. დუნაიზე და ამით უზრუნველ ჰყვეს თავიანთი თავი შემოვლისაგან, უეჭველია განაახლებდნენ კიდევაც შესევას დობრუჯში.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ბრძოლის ველს, აქ რუსები კვლავ განაგრძობენ შეტევას. მოპირდაპირე სასტიკ წინააღმდეგობას უწევს და თვითონვე იწყობს დროგამოშვებით კონტრიერიშებს. უეჭველია ბრძოლამ აქ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ძალიან მალე მის შედეგსაც შევიტყობთ.

დანარჩენ ბრძოლის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

X.

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

24 ენკენისთვე

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. პენიაკის, ბუკოლოვცეს და გლინვშეს მიდამოებში, ზოლოჩევსკის მიმართულებით ცხარე ბრძოლაა. მოპირდაპირე თავგანწირვით გვიგერიებს და სამაგიერო იერიშები მოაქვს. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 15 აფიცერი და 522 ჯარის კაცი. ბრეჟზანის სამხრეთ მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტრის პოზიციის ნაწილი აიღო და გერმანელოსმალების რამდენიმე იერიში მოიგერია.

**კავკასიის ასპარეზი.** კარშუთ-დარასის მდინარისაკენ, ზღვის სანაპიროებში, ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს აქ ტყვეები წამოვიყვანეთ.

დობრუჯში ჩვენი შეტევა გრძელდება. 300-მდე ტყვე წამოვიყვანეთ.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარ ბანაკის ოფიციალი ცნობა. ანკრას სამხრეთ ბრძოლის ხაზზე ღამე ხამუშ-ხამუშ ზარბაზნების სროლა იყო. შვაბენის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის ქვეითა ჯარი დააზარალა. სენტ-ელუას აღმოსავლეთით მტერმა უნაყოფოდ სცადა ჩვენს თხრილებში შემოჭრა.

მახლობელ აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედების ოფიც. ცნობა. ენიკიოსთან ბრძოლა 21 ენკენისთვეს დილის 3 საათზე ჩვენის გამარჯვებით დასრულდა. სერესისაკენ მიმავალ გზის სამხრეთით მდებარე სოფლის ნაწილი შევინარჩუნეთ. ეხლა მთელი სოფელი ჩვენ ხელთ არის. დღემ წყნარად გაიარა. ჩვენ ახალ ადგილას გავმაგრდით, ორლაკის ხიდიდან სერესისაკენ მიმავალ გზაზე სოფ. ენიკიომდე, სადაც გზა სოფ. ყარაჯაკს გადასჭრის და მდინარისაკენ უხვევს. მტრის ზარალი თვალსაჩინოა.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. სომას ჩრდილოეთით, მორვალის ჩრდილოეთით წინ ვიწევთ. ფრეჟიკურთან გერმანელების ძლიერი შემოტევა მოვიგერიეთ. სომას სამხრეთით, განსაკუთრებით ბარლე-ბელუა-დენეკურის და კენუას მიდამოებში, გერმანელები ზარბაზნის ცეცხლს გვაწვიმებენ. სენ-ბენუაში ჩვენმა ზარბაზნებმა დიდი მოძრაობა და ცეცხლი გამოიწვია.

**ჰავრი.** ბელგიის ცნობა. დიუკსმიუდეს მიდამოსა და იზერზე ზარბაზნებით ბრძოლაა. უფრო ცხარე სროლა იყო სტეენსტრეტესა და ბუსინგეს მიმართულებით.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. პრაიდის მიდამოებში, სამი დღის ცხარე ბრძოლის შემდეგ, მტრის გამაგრებული ადგილი ავიღეთ და მოპირდაპირეს დასავლეთისკენ დავახევინეთ. დანარჩენ ბრძოლის პირზე კანტი-კუნტი შეჯახებაა.

სამხრეთის ასპარეზი. ჩვენმა ჯარმა რუშჩუკსა და ტურტუკაეს შუა დემონსტრაციები მოახდინა და დუნაის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა. დობრუჯში, აკტიბას ბრძოლის ხაზზე, მეტად ცხარე ბრძოლაა. 5 აფიცერი და 100 ჯარის კაცი დავატყვევთ.

**ბუქარესტი.** ბუქარესტში მყოფი საბერძნეთის რწმუნებული რანგავისი მეფემ სადარბაზოდ მიიღო.

მეფის უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომ მოპირდაპირე სახელმწიფოთა ქვეშევრდომებმა და მათი ინტერესების დამცველებმა ათი დღის განმავლობაში უნდა წარუდგინონ მთავრობას ცნობები, თუ რა უძრავ-მოძრავი ქონება აქვთ, რა მანქანები, პირველ საჭიროების სანოვაგე და რა საქონელი. სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა მთავრობის ხელში გადასვლა საგანგებო კომისიია მეოხებით მოხდება.

**პარიზი.** ოფიციალი ცნობა. მახლობელ აღმოსავლეთში, მთელს ბრძოლის ხაზზე ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ გრძელდება. მოკავშირეთა მოწინავე რაზმები მდ. ჩარნუს გადიან ობაროვენიბროტის მიდამოებში. მეორე მხრივ წინ წაიწიეს ბაბას შთის ორივე კალთაზე და ბუფ-პოპის მიაღწიეს.

**რომი.** იტალიის მთავარბანაკის ცნობა. 21 ენკენისთვეს მტერმა ახალი ჯარი მოიშველია და კოლბარიკონის მხარეს წინ წაწევდილი თხრილები დაიბრუნა. მტრის არტილერიამ დააზიანა სოფ. სან-ფორნია, ვოლტრი, ტიმაო და გოლიარო. აქ ასეთივე ზიანია გონიცაში.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ფრიდრიხ ნაუმანის აზრი.

Die Hieté"-ში მოთავსებულია ფრ. ნაუმანის წერილი გერმანეთის დღევანდელ ვითარებაზე. ნაუმანის აზრით ომის დაწყებისას გერმანეთმა ერთბაშად და ჭარბად გამოიყვანა ბრძოლის ველზე ცოცხალი ძალა და თავსაყრელად მიაყოლა ყოველგვარი სამარი მასალა. მაშინ მოგვიწოდებდნენ ყოველისფერი გვემსხვერპლა ამ საქმისათვის, თუმცა მაშინ ნაკლები მსხვერპლი იყო საჭირო. ეხლა კი ომმა კლანჭი მოსდო ყოველ ოჯახს, მსხვერპლი თან და თან მატულობს. მდგომარეობა დამაფიქრებელია. დადგა დრო, როდესაც გერმანელების მთელ ზნეობრივ ძალღონეს კვლავ თავი უნდა მოეყაროს. ამ შემთხვევაში გაცილებით მეტი ენერგიაა საჭირო ამ საქმისათვის.

რუმინეთისა ომში ჩარევის გამო ნაუმანი სწერს: ორი წლის ყოყმანის შემდეგ, რუმინეთის მთავრობა იმ აზრს დაადგა, რომ ცენტრალ სახელმწიფოთა საქმე წაგებულია და უკვე შესაძლებელი ხდება ავსტრია-უნგრეთის სამფლობელოს დანაწილება. მხოლოდ ასეთი მოსაზრებით თუ აიხსნება რუმინეთის შესევა ტრანსილვანიაში. მთელი ქვეყნიერობა ასე უცქერის რუმინეთის ჩარევას. თუმცა ჩვენ დავიპყარით ბელგია, ხელთ ვიგდეთ საფრანგეთის და რუსეთის ფართე ადგილები, მაგრამ ჩვენის მეზობლების აზრით, ჩვენი საქმე მაინც წაგებულია. რუმინეთი შეიძლება ანგარიშებში შესცდა, მაგრამ გერმანეთის საზოგადოება მხოლოდ არითმეტიკულ ანგარიშებზე არ უნდა ამყარებდეს თავის იმედიანობას, რადგანაც ასეთი ანგარიში ჩვენი მოკავშირეების მხარეზე ვერ გადახრის გამარჯვების სასწორს. ჩვენ დაიმედებულნი ვერ ვიქნებით, რომ მტერს მიუზღოთ „თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ", რადგანაც მათს მხარეზე უფრო მეტი თვალი, კბილი, თოფი და ზარბაზანია ვიდრე ჩვენს მხარეს. გერმანეთმა მხოლოდ თავისი ძლიერი სულის იმედი უნდა იქონიოს. გერმანეთის მთელი ზნეობრივი ძალ-ღონის თავის მოსაყრელად უპირველესად საჭიროა, რომ გერმანეთმა მოგერიებითი ბრძოლა განაგრძოს; მეორე მხრივ კი მთელის ძალღონით ხელი შეუწყოს შინაურს საქმეებში პოლიტიკურ მშვიდობიანობის შეურყევლობას; მესამეც—შედეგეს შინაური პოლიტიკის აღთქმულ ცვლილებათა მოხდენას.

### პოლკოვ. რეპინკტონის აზრი რუსეთის ასპარეზზე.

„ტაიმს"-ის სამხედრო მიმომხილველი პოლკოვნიკი რეპინკტონი სწერს: ერთი წელიწადი შესრულდა, რაც რუსეთის ჯარის მთავარსარდლად ხელმწიფე იმპერატორია. დიდ მთავარს ღირსეულად აფასებდნენ, რადგანაც გამოიჩინა ნიჭი გამოჩენილ სარდლისა და უკიდურეს განსაცდელის დროსაც პასუხისმგებლობისა არ ეშინოდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად მაინც დიდად უნდა ვაფასებდეთ მეფის გამბედაობას, რომელიც სათავეში ჩაუდგა თავის ხალხსა და ჯარს, რათა ბრძოლა გამარჯვებით დაეგვირგვინებია. ეს კი მხოლოდ იმპერიის მთელი ძალ-ღონის და შეძლების გაერთიანებით მოხდებოდა: ნაპოლეონი სწორედ იმისთვის დამარცხდა, რომ ალღო ვერ აუღო რუსის მეფეს და მისდამი ხალხის ერთგულობას. ეხლაც ასე დაემართა გერმანელთა მთავარ შტაბს, რომელიც 1915 წ. ენკენისთვიდან ანგარიშს აღარ უწევდა რუსის ჯარს, რის გამოც მის სამოქმედო გეგმები ჩაიშალა.

იმპერატორმა მეტად მძიმე პირობებში იკისრა ჯარის მთავარ-სარდლობა. რუსები იბრძოდნენ ერთი ვინტოვკით სამის წინააღმდეგ, ერთი ყუმბარით—ათის წინააღმდეგ. გაზაფხულამდე რუსის ჯარს ვერ მიაწოდეს საკმაო იარაღი და სასროლი მასალა. ბევრი ჰფიქრობდა, რომ გერმანელები ვილნისა და სვენციანთან გამარჯვების შემდეგ, რუსის ჯარს გზას მოუჭრიან და ზამთარშივე რუსეთის სატახტო ქალაქს მიადგებიანო. ბევრი გავლენიანი წრეები საგონებელს მიეცნენ რუსეთის მოსალოდნელ ხვედრის გამო არა მარტო სამხედრო საქმის მხრივ.

ჯერ გამორკვეული არ არის რა მოსაზრებით ვერ გაჰბედეს გერმანელებმა თავისი გამარჯვების ბოლომდე მიყვანა იმ ზამთარსვე. ჯერ არ ვიცით რა მოსაზრებით შეჩერდნენ გერმანელები 1000 ვერსზე გაჭიმულ ისეთ ბრძოლის ხაზზე, რომელსაც არავითარი ბუნებრივი სიმაგრე არ იფარავდა. ჯარის სიმცირეს ვერ მივაწერთ, რადგანაც ვერდენთან თებერვლის ბრძოლამ დაამოწმა სულ წინააღმდეგი.

ამ შემთხვევაში, რუსების ჩვეულებისამებრ ჩვენც სასოებით უნდა აღვიაროთ, რომ გერმანელებს ღვთაებრივმა ძალამ შეუშალა ხელი.

როდესაც შევიტყეთ, გერმანელებმა გადასწყვიტეს საფრანგეთ-ბელგეთის ასპარეზზე გადატანა სამხედრო მოქმედებისა, მაშინვე მივხვდით, რომ გერმანელებმა ომი წააგეს. „დასავლეთის ასპარეზზე ვერ გაგვტეხავსო", ვიფიქრეთ ყველამ. დარწმუნებული ვიყავით, რომ თუმცა რუსეთმა მეტის მეტად დიდი მსხვერპლი გასწირა, მაგრამ იგი შესძლებდა ძალ-ღონის მოკრებას.

რუსეთის ხალხმა ხელმწიფის მთავარსარდლობით შესძლო 8 თვის განმავლობაში წელში გამართვა, იარაღის და სასროლ მასალის დამზადება და სხვა.

რაც რუსეთის ჯარს სათავეში ჩაუდგა მეფე, რომელმაც იკისრა მთავარსარდლობა, რუსეთმა ისევ თავისი ადგილი დაიჭირა.

### რუმინეთის ბედი.

პოლკ. რეპინკტონი რუმინეთის გამოსვლის თაობაზე სწერს: რომ შეიძლებოდეს გამომჟღავნება იმ ჯარის რაოდენობისა, რაც ეხლა მოკავშირე სახელმწიფოებს ბრძოლის ველზე ჰყავთ, ყველა მიხვდებოდა, რომ გერმანელები ორსავ ასპარეზზე მოქმედებას ვერ შესძლებენ. მაგრამ ჰინდენბურგის ახალ სამოქმედო გეგმას მაინც ანგარიში უნდა გაეწიოს. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანელები მთელის ძალღონით მიაწვებიან აღმოსავლეთის ასპარეზს. ალბად ჰინდენბურგის რისხვა რუმინეთისაკენ მიიმართება, დასავლეთის ასპარეზზე კი ვერდენის ოპერაციაზე ხელს აიღებენ, ხოლო სომმაზე კი მოგერიებითს ბრძოლას დაადგებიან.

რუმინეთის ასპარეზზე ჯერ 8 ახალი დივიზია გადმოიყვანეს ბარანოვიჩის მიდამოებიდან. 8 დივიზიას ვილნოს მიდამოებიდან გადმოიყვანენ, ხოლო 4 დივიზიას ტრენტინოდან, სადაც სუსხიანი ზამთრის გამო სამხედრო მოქმედება შეფერხდება.

რეპინკტონის ვარაუდით მაროშის ველში სულ 30 დივიზიას მოუყრიან თავს. ბულგარელები და ოსმალები დობრუჯში გროვდებიან. რუმინეთი განსაცდელშია და მოკავშირენი ვალდებულნი არიან მიეშველნენ. ჯარის გადაყვან-გადმოყვანა უგუნურება იქნება. მოკავშირეებმა უნდა განაგრძონ შეტევა ბრძოლის უმთავრეს ასპარეზზე და ჰინდენბურგს გასაქანი არ მისცენ ჯარის გადაყვანისა რუმინეთის ასპარეზისაკენ.

### საბერძნეთში.

„ბერლ. ტაგებ." და „ლოკალ ანცაიგერ"-ის ცნობებით, საბერძნეთში ეროვნული მოძრაობა თან და თან ფართოვდება. ვენიზელოსის მოწინააღმდეგე ზოგიერთი გაზეთებიც კი მოითხოვენ ბულგარეთის წინააღმდეგ გალაშქრებას.

უკანასკნელის ცნობებით მეფე კონსტანტინესა და ვენიზელოსის შორის მოლაპარაკება სწარმოებს. მათ შორის სამხედრო მინისტრად ნამყოფი გენ. იოანაკიტელისი მოციქულობს. ვენიდან იტყობინებიან: მეფე კონსტანტინე ტახტიდან გადადგმას უფრო იკისრებს, ვიდრე თავის პოზიციას უღალატებდეს.

## უკანასკნელი დეპეშები

**სარწმუნო წყაროებიდან „ბირჟ. ვედ." ატყობინებენ, გერმანეთის ჯარის ზურგი ამ ბოლო დროს მეტად გაუმაგრებიათ. აუშენებიათ მრავალი შენობა სხვა და სხვა დარგის სანოვაგის და სომარ მასალის შესანახად. დაუკეთებიათ ახალი თხრილები და სანგრები.**

—

**მკაენზენმა მრავალ დღის ბრძოლის შემდეგ დაიპყრო ტურტუკაი და სილისტრიის ოლქი მდ. დუნაის გასწვრივ.**

**ბალჩიკ, კავაინუ და მაგალია შავის ზღვის ნაპირზე მდებარე ადგილები და რამდენიმე ნაწილი დობრუჯისა, საერთოდ მესამედი ნაწილი დობრუჯის კუთხისა. ამ ადგილების დაბყრობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსალოდნელია აქ ამ მოკლე ხანში დიდი ბრძოლა დაიწყოს და სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდეს.**

—

**საბერძნეთში მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენელნი ვენიზელოსს მხოლოდ საქმეზე ელაპარაკებიან და არა ოფიციალად. კალოგეროპულოსის კაბინეტსაც უკანონოდ სცნობენ და მოკავშირენი მასთან არავითარ კავშირს არ იჭერენ. მეფის სამყოფი კი ციხე-სიმაგრედ არის გადაქცეული.**

—

**ძირითად კანონების 87 მუხლის მიხედვით გამოიცა ახალი კანონი, რომლის ძალით სისხლის სამართალში იძლევიან ის ვაჭრები, რომელნიც სანოვაგე-სურსათის ნიხრს ან აძვირებენ და ან აფოლებენ.**

—

**გერმანეთის მთავარ შტაბის უფროსი ფალკენჰაინი დღეს რუმინეთში გერმანეთ-ბულგარეთ-ავსტრიის ჯარს მთავარსარდლობს.**

—

**კოპენჰაგენიდან: იტყობ. გერმანეთში ოქროს ნივთებს და სამკაულებს აგროვებენ სახელმწიფო ხაზინის გადასაცემადაო.**

—

**„რეჩ"-ი სწერს: გერმანელები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ვლადიმირ-ვოლინის მიდამოებიც ისევე ძლიერ გაამაგრონ, როგორც კოველი, რომ ეს ადგილებიც ჩვენი ჯარისათვის ყოვლად, მიუდგომლად აქციონ. აქეთ ვერდენიდან აუარებელი მძიმე ზარბაზნები გადმოზიდეს. გერმანელების მთელი გულის ყური ვლადიმირ-ვოლინისა და გალიჩის მიდამოებზეა მიჯაჭული, რადგანაც აქ არის უმთავრესი ზურგის მიხაბჯენი ადგილები გერმანეთ—ავსტრიის ბრძოლის ხაზისა.**

## დეპეშა

(საკ. კორეს.)

**შალიკაშვილს ნერვები აეშალა. გამუდმებით სიცხე აქვს 88 გრადუსი. ექიმების აზრით შეიძლება ავადმყოფობამ საშიში ხასიათი მიიღოს.**

**კახიანი.**

# ახალი ამბავი

### სასახლეში.

**◆ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა გენერალ-ლეიტენანტი ვ. გაბაშვილი. დარბაზობის შემდეგ გენ. გაბაშვილი მათ უმაღლესობის მიერ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

### ქართული დაწესებულებანი.

**◆ ომის მატიანე.** ქ. საქ. საზ. გამგეობის წევრი ბ-ნი გ. ცინცაძე ფრიად საგულისხმიერო მატიანეს ადგენს ომში დაზარალებულთა შესახებ. ომის მატიანე შესდგება ოთხის ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ეხება ლტოლვილთ, მეორე—ომის ქარიშხალისაგან დაზარალებულთ, მესამე—ბრძოლის ველზე წაყვანილთ, ხოლო მეოთხე ნაწილი ეხება ომში წაყვანილთა ოჯახების მდგომარეობის აღწერილობას. ბ-ნი ცინცაძეს ნაშრომს საფუძვლად ედება ის მასალები, რომელიც პირველ ხელიდან აქვს მიღებული: კოოპერატივებისაგან, ინსტრუქტორ სტუდენტობისაგან, სამღვდელოება-მასწავლებლებისაგან და სხვა საკულტურო დაწესებულებათა და ინტელიგენტ პირთაგან.

**◆ რაჭა-ლეჩხუმის რაიონული** განყ. გამგეობა ქ. საქვ. საზოგადოებისა აცნობებს მთავარ გამგეობას, რომ მთავარ საჭიროებას ამ ჟამად შეადგენს რაჭა-ლეჩხუმის მცხოვრებთ დახმარება გაუწიოს სურსათის მიწვდით ანუ ფულად, რისთვისაც გამგეობა შეუდგა ცნობების შეკრებას და სიების შედგენას. სახსარი რადგან არ მოეპოება და კანცელარიაც ჯერ არა აქვთ განყოფილების გამგეობა, სთხოვს მთავარ გამგეობას საშუალების აღმოჩენას. ის 2000 მანეთი, რომელიც მთავარ გამგეობას გაუგზავნია, უკვე დაურიგებია განყოფილებას სვანთა ოთხ საზოგადოების ღარიბთა შორის.

**◆ ქ საქ. საზ. გამგეობის** კრება დღეს დილის 10 საათზეა დანიშნული სამეურნეო ბანკის შენობაში. გამგეობა განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვას და ჭანეთის საკითხს.

**◆ სასტატო სემინარია.** დღეს 25 ენკენისთვეს დანიშნულია კურთხევა ქალთა სასტატო სემინარიისა.

### მთავრობის დაწესებულებანი.

მეფის ნაცვლის საბჭომ თბ. საბალოსნო სკოლის წყალსაყვანის გასამართად 3.334 მან. გადასდო.

**◆ ყვირილა-ხაშურის უღელტეხილი.** მეფის ნაცვლის საბჭომ მოისმინა ინჟ. ი. ი. დადიანის მოხსენება ჰიდრო-ელექტრონულ გზის გამართვის შესახებ ყვირილასა და ხაშურს შუა სიგძით 59 ვერსისა. საელექტრონო ძალის მისაწვდენი სადგური ამ უღელტეხილზე მოძრაობას 336—700 ვაგონს მოუმატებს დღეში, ვიდრე ეხლა რკინის გზა იძლევა და ხარჯებიც 60 პროცენტით შემცირდება. სადგური ხოფის წყალსა და ჭამის წყალის პირას უნდა გაიმართოს მთიან ადგილას, სადადიანოში, ზუგდიდის მაზრაში. მეფის ნაცვლის საბჭომ მიიღო ეს მოხსენება მთლიანად და მოიწონა. საქმე ეხლა იმაზედაა დამოკიდებული, რამდენად ეს მოხსენება გზათა სამინისტროს მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს ან თ-დ დადიანების მემკვიდრეებს როგორ?მოერ?ბ?ბ? ?ამ ?ი?ჭ? ბის შესყიდვის დროს.

**◆ კავკასიის უღელტეხილი** მუშაობა კავკასიის უღელტეხილზე, რომელიც მოკლე გზით ხევსურეთზე აერთებს კავკავსა და თბილისს, ამ ჟამად სწარმოებს სწრაფად. მთელი 3 წყება ინჟინერ-სპეციალისტებისა, მიუხედავად უამინდობისა დიდ პარტიებით ენერგიულად მუშაობენ ?ის გამოკლევა გაყვანაზე.

### ქალაქის დაწესებულებანი

**◆ ფქვილის საკითხი.** თბილისში დაბრუნდენ ქალ. გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარი და ბ. ვიშპიანსკი, რომელნიც ფქვილის შესაძენათ იყვნენ გამგზავრებულნი. მათ მოახსენეს კ. ი. შაშკოვსკის, რომ „რისის" წისქვილის პატრონს აღუთქვავს 1 ოქტომბრამდე ფქვილის მოწვდა. „ბოდიაკოვის" ფირმას უარი უთქვამს, აგრეთვე „სუპრუნოვის" ფირმასაც, ხოლო „ნიკოლენკოვის" ფირმა პირველ ოქტომბრამდე დაჰპირებია ფქვილის ჩაბარება. გარდა ამისა 71 ვაგონი ფქვილი ამ ჟამად გზაშია. ბ. ჯაბარმა შაშკოვსკის მოახსენა, რომ იგი ფქვილის ოპერაციის საქმეს თავს ანებებს. ამის გამო ბ. შაშკოვსკიმ დეპეშით მიმართა კავკავის რწმუნებულებს დანილენკოს და კირილენკოს, რომ თითო მათგანმა 100 ათასი ფუთი ფქვილი დაიკვეთონ თბილისისთვის. სანამ პასუხი არ მოვა ვიდრე ვერ მოხერხდება ვაგონების საქმის მოწესრიგება, რომელსაც ინჟ. გენ. იანუშკევიჩი ეხება დღევანდელ განცხადებაში.

**◆ ხოლერა.** 24 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40-ში იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 71 და ხოლერის ნიშნებით 11 კაცი 23 ამა თვეს გარდაიცვალა ხოლერიანი 1 და გასწერეს ლაზარეთიდან 4 კაცი.

**◆ ქალაქის წყლის საქმის მზრუნავი ბიუროს** წევრები დღეს მიემგზავრებიან წალკის წყაროების დასათვალიერებლად. კომისიაში შედიან: ინჟ. ბაბოვი, ხმოსნები ნეპრინცევი და ხუნუნცი, გეოლოგი ალაბაბოვი, ჰიდროტეხნიკურ ორგანიზაციის თავმჯდომარე ინჟ. სამოდელინი, ქალაქის ინჟ. მუხარინსკი, ქალაქის წყალსაყვანის გამგე ინჟ. ქურდიანი ინჟ. ლისიციანი, ქალაქის ქიმიკოსი ალიბეგოვი. კომისია სამშაბათს დაბრუნდება.

**◆ ქალაქის ფურნე.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ააშენოს მეორე ფურნე. ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მიენდო ინჟ. ბაბოვს.

**◆ ქალაქის წყალსაყვან ბიუროს** საჭიროებისათვის ქალაქის გამგეობას საბჭოში შეაქვს დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვით 55 ათასი მანეთი.

**◆ ფქვილი,** რომელიც მეფის ნაცვლის თანაშემწეს გადადებული ჰქონდა კავკასიისთვის, ეხლა მხოლოდ ქ. თბილისს გადაეცემა. ფქვილის რაოდენობა 60 ათას ფუთს უდრის.

**◆ საყასპოს დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა თბილისის საყასპოსი. თვეში 1,540 მ. და ერთდროულად 750 მან. როგორც საყასპოს გამგე ნ. ი. ორლუთინსკი აცხადებს, დამატებითი ხარჯები გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საყასპო ომის საჭიროებასაც ემსახურებაო.

**◆ ქალაქის ეტლები.** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა კავკ. საოლქო სამხედრო უფროსის წინაშე სამხედრო ეტლების დათმობის შესახებ, ვინაიდან ფქვილის და სხვა სურსათის გადაზიდვის საქმეს ძომეტებულ ნაწილად ქალაქის ეტლების უქონლობაც აფერხებსო.

**◆ პურის ნიხრი.** დღეს კ. ი. შაშკოვსკის თავმჯდომარეობით დანიშნულია თათბირი პურზე ნიხრის დაწესების შესახებ.

**◆ ქალაქთა კავშირის კრება.** 23 ენკენისთვეს შესდგა ქალაქთა კავშირის სხდომა, რომელმაც დაპყრობილ ადგილების მცხოვრებთა გამოსაკვებად 5 მილიონი მანეთის ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა. ამავე კრებაზე ბაქოს საკვებ კომიტეტის რწმუნებულად არჩეულ იქმნა გრ. ტ. რობაქიძე.

**◆ ქალაქთა კავშირის დაწესებულება** დღეიდან ახალ ბინაზე გადადის, საკრედიტო საზ. სახლში, პუშკინის ქუჩაზე „ტრეუგოლნიკის" თავზე.

### სასწავლებლები.

**◆ მედიცინის ფაკულტეტი.** კვირას 2 ღვინობისთვეს, ორტისტ. საზ. საკონცერტო დარბაზში იხსნება ქალთა უმაღლეს კურსების სამედიცინო ფაკულტეტი. ლექციების კითხვა 3 ღვინობისთვიდან დაიწყება.

**◆ საფერშლო სკოლა** მიმდინარე სასწავლო წლიდან უკვე გადაკეთე-

# საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 213 დამატების № 38

კვირა, 25 ენკენისთვე, 1916 წ.




შემოდგომის ოცნება

* * *

როს გადავა შუაღამე,
სოფლად ყველა მიწყნარდება,—
მუდამ ერთი ფიქრი მიპყრობს,
მუდამ ერთზე მედარდება.
სული ჩემი ვილაც უცნობს
მოუსვენრად ელოდება,
თითქოს იგი შორით მოსჩანს,
თითქოს კიდეც ახლოვდება;
დავიწყების სავანედან
თითქოს რაღაც მაგონდება,
ვერვის ვხედავ, მაგრამ გრძნობა
და ტანჯული სამხვთო ნება
საიდუმლოდ მას ემსჭვალვის,
საიდუმლოდ ემონება!

**სანდრო შანშიაშვილი.**

## ხალხური

ვარდმა დაიწყო ქვითინი,
ჯეჯილმა დაიბიბინა;
მეზვრე ულვაშ ქვეშ იცინის,
მეურმემ ჩაიღიღინა:
პირია გაზაფხულისა,
მზემ ამოჰყარა სხივები;
ტურფად შემოსა ქვეყანა,
ვით საპატარძლო მძივები!

## იყო და არა იყო რა...

**სახსოვრად მეგობრებს.**

...და არ ვიცოდი, თუ სადა ჰქონდა ყოფნას ან ბოლო,—ან დასაბამი...
...და არ ვიცოდი, დღე-დღეთ რად სდევდა... წუთებს რად სცვლიდა ნიადაგ წამი...
ვკითხავდი ჩემს თავს: რისათვის გავჩნდი,—თუ სიკვდილისთვის ვიყავ შობილი,—
ვკითხავდი ფიქრსა, მაგრამ კვლავ სდუმდა ფიქრი ობოლი,—ჩემი დობილი...

—

... და არ ვიცოდი... გავჩნდი ქვეყნად... ზღვად იწვა ბინდი,
არსთა სამყოფელს გადაჰკროდა სიბნელე შავი...
ვსცანი სიმწარე სიცოცხლისა... ჯერ ავქვითინდი,—
მერე კი ფიქრებს,—ობოლს ფიქრებს—მივეცი თავი...
ჟამი დიოდა და ვფიქრობდი კვლავ რაღაცაზე,—
ჟამი დიოდა და მეც მასთან უჩინრად ვქროდი...
და როს აჩრდილი სიკვდილისა ფრთებს ჰშლიდა ცაზე,—
მე ძირს მიწაზე—უიმედოდ, მწარედ ვსტიროდი!..
...და არ ვიცოდი რად ვსტიროდი... კვლავ არ ვიცოდი—
რისათვის იყო ყოფნა მწარე და ხან-კი ამო...
... და არ ვიცოდი არ ცოდნაში—სევდით ვიწოდი
.. და არ ცოდნაში ჰქროდა ჟამი დაუსაბამო!.
მაინც ვფიქრობდი, გრძნობის ცეცხლში დნებოდა გული,
.. და სული მწირი ეძიებდა უცნაურს მხარეს...
და არ ვიცოდი რას ეძებდა დაობლებული..
.. და არ ცოდნაში ვქვითინებდი, ცრემლს ვღვრიდი ცხარეს..
უიმედობით მოქანცულს სულს მოსწყინდა სრბოლა,
დაღლილმა ფიქრმა მწარე კვნესით დახუჭა თვალი...
ჟამმა ჩემს თავზე ერთხელ კიდევ გადაიქროლა
და წამჩურჩულა გარდასული და მომავალი:—

თოებელმა კომიტეტმა სთხოვა ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას იკისროს საზოგადოებამ გაკეთება ეკლესიის გალავნისა ისე, რომ დაცული იყვეს ძველი ქართული სტილიო. ეს წინადადება განხილულ იქნა საზოგადოების კრებაზე 23 ამა თვეს და არსებითად შეწყნარებული.

**დ. საჩხერე**

— მოლაშქრეთა გაწვევის გამო თითქმის ყველა დუქნები დაკეტილია; საერთოდ დაბას სიცოცხლის ნიშანწყალი ოდნავ თუ ეტყობა.

— ადგილობრივი აკაკის სახელობის სამკითხველო დიდ უნუგეშო მდგომარეობაში ვნახე: მუხლამდის ეყარა იატაკზე მტვერი, პაპიროზისა და ასანთის ნამწვავი, სამკითხველოს არა ჰყავს მუდმივი მეთვალყურე, მისი დაკეტვა და გაღება შემთხვევაზე ყოფილა დამოკიდებული, ფოსტიდან დროზე ახალი გაზეთის მომტანი არ არის, მაგიდაზე ერთი კვირისგაზეთები ეყარა; ნეტა რას ფიქრობს ამ დროს სამკითხველოს გამგეობა?

ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას კრება ჰქონდა 23 ამა თვეს. თავმჯდომარეობდა ბ-ნი გ. ჟურული. კრებას დაესწრნენ მხატვარნი, რომელნიც თითქმის მთელ ზაფხულის განმავლობაში მუშაობდნენ ნაბახტრევში და გადაიღეს 19 ფრესკი ძველი კლესიის შენობისა.

როგორც კრებაზე გადასწყდა, ახლო მომავალში უნდა გადაღებული ფრესკები გამოჰფინონ და საზოგადოების წევრებს უფრო დაახლოვებით გააცნონ. კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საპრემიო პროექტები ქართველ მოღვაწეთა პანთეონისა, რომელი პროექტებიც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაამზადებინა. ამ კომისიაში შედიან ბ-ნნი შევარდნაძე, თოიძე, მრევლიშვილი, გაბაშვილი, ნიკოლაძე, მამრაძე და კლდიაშვილი. კრებამ მოისმინა მოხსენება პროფ. ივ. ჯავახიშვილისა შესახებ საზოგადოების მუშაობისა ახლო მომავალში. აგრეთვე მოსმენილ იქმნა წინადადება

რისა და კამერ-იუნკერის თანამდებობაც აქვს; მას დასრულებული აქვს უნივერსიტეტი.

წარმოშობით თავ. ჯევახოვი—ქართველია, მისი წინაპარი, თავ. ჯავახიშვილი მოსულა რუსეთში მეთვრამეტე საუკუნეში, ვახტანგ მეფის ამალასთან ერთად; დედით კი თავადი ჯევახოვი ჩამომავალია რუსეთში წმინდანად გამოცხადებულ იოსებ ბელგოროდელისა; უკანასკნელ გარემოებისათვის სათანადო ყურადღებაც მიუქცევიათ თურმე.

თავ. ჯევახოვი ცნობილია როგორც საეკლესიო ისტორიის მცოდნე, კერძოდ მას ეკუთვნის წმინდა იოსებ ბელგოროდელის შესახებ დაწერილი ნაშრომი.

თავ. ჯევახოვი ცნობილია როგორც აშკარა მომხრე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა; ამ გარემოებას ზოგიერთნი, მაგალითად, გაზეთი „უტრო როსია“ კიდეც უკავშირებდენ თავ. ჯევახოვის მიწვევას ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე, როგორიცაა სინოდის პროკურატურა.

ზხამათ“ კი შეგერგოს ეგ ფლავი..

მოდი და ნუ ეტყვი რუევსკის... მაგრამ მე რა უთხრა? მოდი, ისევ შენ უპასუხე, მკითხველო.

**ისკანდერ.**

## საზოგადოების საყურადღებოდ

ავად თუ კარგათ ქართველმა ხალხმა განადგურებულ აჭარას ყურადღება მიაქცია. იქ შემოქმედებითი მუშაობა ახლახან დაიწყო, საკეთებელი ერთობ ბევრია. მაგრამ გზა უკვე ნაჩვენებია და იმედი უნდა ვიქონიოთ, ქართველობაც არაფერს დაიშურებს აჭარლების დასახმარებლად და გასათვითცნობიერებლად.

კავკასიის ზრძოლის ასპარეზზე რუსეთის ძლევამოსილმა წინსვლამ ქართველების წინაშე ერთი დიდი საზრუნავი წამოაყენა. ეს არის ჭანეთის საკითხი.

მოსავალი უკანასკნელი 800—2200 მარკა ჰქონდათ, შესამჩნევად გამრავლდნენ. 1879 წლის აღწერილობით მხოლოდ 18 პროცენტია ასეთი შემოსავლიანი; 1898 წელს ეს რიცხვი 28 ავიდა. რაც შეეხება წვრილს საშვალო წოდებათ, რომელთა შემოსავალი ისაზღვრებოდა 2200—4800 მარკამდე, არც მათი რიცხვი შემცირებულა, როგორც ამას წინასწარმეტყველებდა მარქსის პესიმისტური კრიტიკა, პირიქით საგრძნობლად გაძლიერდა. ასევე გაბათილდა ის დებულება, ვითომც მდიდართა რიცხვი კლებულობდა. იმავე საქსონიაში თუ 1879 წელს 930 მდიდარი იყო, 1894 წელს მათი რიცხვი 2547 ავიდა, ესე იგი, უკანასკნელი სამჯერ მაინც გამრავლდა. მაშასადამე, იული ვოლფის თქმისა არ იყოს, სტატისტიკა კონცენტრაციაზე კი არა, მხოლოდ კაპიტალის ზრდაზე გვითითებს და მეტი არაფერი.

მაგრამ შევჩერდეთ. აქ არ გვაინტერესებს სოციალისტურ მოძღვრებათა და მიმდინარეობათა გაკრიტიკება, ეს



სულ სხვა სფეროსათვის გადავდოთ... ამ ჟამად დავუბრუნდეთ ისტორიას. ჩვენ ვეცადეთ ამ პატარა წერილებით აგვეწერა ფართო საზოგადოებისთვის ის გრანდიოზული შენობა, რომელზედაც დაეყრდნო ახალგაზრდა იმპერიის შენობა. გავეცანით ხალხს, მმართველობას, წესწყობილებას, რაოდენადმე სოციალურ საკითხებს. ამ ერთი თვალის გადავლებით, მცირეოდენი ექსკურსიით საკმაოდ ნათელვყავით ფოკუსი გერმანეთის სიძლიერისა, რითაც მიუხედავად კლასობრივი და წოდებრივი სხვა და სხვაობისა მაინც მონახეს ერთი მტკიცე ნიადაგი გაერთიანების და ფოლადის რგოლებით გადაებმენ ერთმანეთზე. ახალგაზდა გერმანეთმა ვილჰელმის მეთაურობით მიიღო ერთი სახე, ერთი მეტყველება, ეს ის მეტყველება, რომელიც, სენობიოსის სიტყვით რომ ვსთქვათ, ინგლისს ერთგვარ „მენე, ტეკელ, ფარესად“ გარდაექცა. და არა თუ ინგლისს, როგორც დავინახეთ, საფრანგეთსაც და შემდეგ თითქმის მთელს ევროპასაც. ამას კარგად გრძნობდენ თვით გერმანელები. მათ სწამდათ თავიანთ მოწოდება, ამიტომ იყო სწორედ, რომ როდესაც დაჰკრა საბედისწერო საათმა უკიდურესი ბიურგერი, კაპიტალისტი, იეზუიტი თუ სოციალდემოკრატთა ახალგაზრდა ვარსკვლავი სახელოვანი ბელადი ფრანკი სიხარულით გარბიან ბრძოლის ველზე და იქ ჰპოვებენ სიკვდილს სამშობლოს ბაირაღის გასამარჯვებლად, რომლის სახებას თვითეული მათგანი გულში ისვენებს, მითი ჰსუნთქავს, მითი ამაყობს, და მიტომაც ასე თავგანწირულებით, ამაყად, თავისუფლად, ერთ ადამიანსავით მოიმღერს რეინის ნაპირებიდან: „ყოველისფერი გერმანეთისთვის!.. ყოველისფერი მის მიერ!.“

**De-Ka**

(შემდეგი იქნება)

P. S. ამ წერილის შუა ნაწილში, რომელიც „საქართველოს“ მე-211 ნომერში დაიბეჭდა, მეათე სტრიქონზე, თვითონ მთელი წინადადებაა გამოტოვებული, რის გამოც სრული გაუგებრობა გამოდის. სწერია: „ბისმარკის ასეთი წინასწარ მეტყველებათა პარტია ღმერთობას ჩემულობდა, სწრაფ გაზრდისთანავე სწრაფადვე ჩაიფერფლა“. უნდა იყოს: „ბისმარკის ასეთი წინასწარ მეტყველება სავსებით გამართლდა სოციალ-დემოკრატთა თავზე. გერმანეთში, სადაც მათი პარტია ღმერთობას სჩემულობდა, სწრაფ გაზრდისთანავე სწრაფადვე ჩაიფერფლა“ და სხვა.

**De-Ka.**

## ჩემი პასუხი


(დასასრული. იხ. „საქართვ.“ № 212)


2. შემკითხველები ბრძანებენ, ვითომ მე ვიყავ სუხოდოლსკის მოურავად და მქონდეს საკომისიო დამოკიდებულებანი კერძო პირებთან, მაგალითად, ტრიფონ ლამბაშიძესთან.

თუ რამდენად მოჰორილია ჩემი სუქოდოლსკის მოურაობა, მკითხველს ვთხოვ გაიგოს ჩემი პასუხიდან ბ. სტუმრისადმი (იხილე „სახალხო ფურცელი № 666). მაგრამ ეს არაფერია იმ საზიზღარ და მდაბალ ჭორთან, რომელიც შემკითხველებმა შეთხზეს ჩემ ვითომდა სხვა და სხვა პირებთან საკომისიო დამოკიდებულების შესახებ, რომლის დასამტკიცებლადაც მოიყვანეს ამხანაგობის მიწერ-მოწერა ტრიფონ ლამბაშიძესთან. აქ წინდაწინვე ვაცხადებ, რომ ერთ საბუთსაც ვერ დაასახელებს ვინც უნდა იყოს ძე ხორციელი, რომ მე საკომისიო დამოკიდებულება ვისთანმე მქონდეს. მთელი ჩემი მოქმედება თელავის ამხანაგობაში იქითკენ არის მიმართული, რომ მომხმარებელსა და მწარმოებელს შუა მოისპოს ყოველივე შუამავალი, კომისიონერი და სხ... ჩემი მრწამსია, რომ როდესაც თავის ნაწარმოებს ჩვენი ერი თითონვე უპოვის ბაზარს შუამავლებისა და ჩარჩ-კომისიონერების დაუხმარებლად; როდესაც თავის მეურნეობისა, მრეწველობისა და ოჯახისათვის საჭირო საქონელს და მასალას ისევ თითონვე შეიძენს მწარმოებელთაგან, შუამავლების დაუხმარებლად, მაშინ მართლა თავისუფლად და დამოუკიდებლად ამოისუნთქებს ჩვენი ერი. ხოლო ეს ეკონომიური დამოუკიდებულობა,—მრწამს,—ის ოქროს აკვანია, რომელშიაც ასვენია პოლიტიკური თავისუფლება ჩვენი ერისა.

ბევრს თავს არ შეგაწყენთ, მოკლედ მოგახსენებთ, რომ შემკითხველებმა პირდაპირ ჩემ სამლოცველო ტაძრის წმიდათა-წმიდას შეახეს ხელი და მომაწერეს ის საქმე, რის წინაამდეგაც

„შენ ჩემთან ივლი, ვიდრე ყოფნა არ გათავდება,
„ვ`დრე დაკარგულს უკვდავებას ვერ ჰპოვებს სული...
„ვიდრე ძლეული სიცოცხლე კვლავ არ აჰყავდება—
„ძიების გზაზე დამარხული, დამიწებული!..
„შენ ჩემთან ივლი მიმკრთალებულ სიცოცხლის სახით..
„ჟამთა სრბოლაში გამოაწრთობ სრულყოფილ გრძნობას...
„სანამდის სული იდუმალის ციურის ზრახვით
„და ფიქრთა გრძნობით არ უარჰყოფს არარაობას...
„შენ ჩემთან ივლი ვიდრე ღმერთად არ შეიქმნები...
— მითხრა... გაფრინდა და მეც სწრაფად თან გამიყოლა..
ობოლმა ფიქრმა ციურ ლტოლვით გაშალა ფრთები
და ჟამთ მორევში ნაღვლიანად დაიწყო სრბოლა...
მას აქეთია ჟამთან მივქრი... მივქრი არ ვდგები..
კვალ და კვალ მივდევ სუბუქ ფრთებით დროს განუყოფელს,
ხან ცის სიღრმეში ღრუბლის სახით ავქვითინდები
და ხან ტკბილ სიზმრად ვევლინები არსთა სამყოფელს!..
ხან ძირს—მიწაზე დავეშვები და სატრფოს საფლავს
ყელსაბამს ვუბნევ ცრემლად დამდნარ გრძნობათ მძივებით..
ვეტყვი ჰანგს ზღაპრულს, ნაღვლიანსა,. მწარეს.. გულსაკლავს
და მკერდს მოურთავ ობოლ ფიქრის ნაზ ყვავილებით...
... და ვით სიზმარი გამკრთალ ძილის დრო-ჟამთან მივქრი...
ვეძებ რაღაცას, ხან ვნეტარებ და ხან ვღონდები...
ვეძებ რაღაცას.. აუხსნელი სიკვდილის ფიქრი—
ჩემთან მოფრინავს არ მშორდება.. არა ვშორდები!..

...ვკითხავდი ჩემს თავს:—რისათვის გავჩნდი, თუ სიკვდილისთვის ვიყავ შობილი...
—ვკითხავდი ფიქრსა, მაგრამ კვლავ სდუმდა—ფიქრი ობოლი—ჩემი დობილი!..

**ილ. მოსაშვილი.**

## ოლთისის რაიონში მომუშავე 1-ლი სასანიტარო ტრანსპორტი საეროზო კავშირისა.

გადაღებულია ტრანსპორტის მოსვლის დროს მარიამობ. 1915 წ.



1. ოლთისის საერობო კავშირის საავადმყოფოს უფროსი ექიმი ქალი **ბ. ქ—შვილი.**

2. მაშინდელი სასანიტარო ტრანსპორტის უფროსი ანგია **ან.—ძე** კუკულავა, რომელიც დაჯილდოვებულ იქნა 2 იანვრის 1916 წ. ბრძოლის დროს წმ. გიორგის ჯვრით.

3. ამავ ს.—ტრანსპორტის დაჭრილი უფროსი სანიტარი **ს. ქუთათელაძე**—დაჯილდოვებული წმ. გიორგის მედლით.

4. ფერშალი **ი. ჩხეიძე** და ქართველი სანიტარები.

## უბედური რუსი

(ქარგა ისტორიული*)

(გაგრძელება. იხ. სურ. დამატ. № 37).

თავი მეორე.

ბ.

კუზმა-რუსი თანდათან მეტის კრძალვით იმსჭვალებოდა გარემოსადმი. ის არ მოელოდა ასეთ სიმდიდრეს, ასეთს წესსა და რიგს, ასეთ საგულისხმო და თვალსაჩინო პიროვნებათა ხილვას ანუ მათი ამბის გაგებას.

მას მოესურვა მეტის გაგება. გულით უნდოდა ყოველივე გამოეწვლილვა ამ ქვეყნისა. სიფრთხილით შეეკითხა:

— ეხლა კი, მეგობარო! ეხლა აღარავინ არის ეგეთი, რომ შინაობაში საფრთხეს წარმოადგენდეს?

— ოო, ეხლა... თამარი იმდენად დიდ-ბუნებოვანი გამოდგა, რომ მთელი ქვეყანა აღმერთებს... ვინ გაბედავს მის საწინააღმდეგოთ დასძრას ენაც კი... ან რეები არ მოიქმედა!.. ცოტა ხანია, რაც ტახტზე მარტოთა ზის, მაგრამ არ დარჩენილა არც ერთი კუთხე საქართველოსი, რომ რაიმე თვალსაჩინო არ მიეძღვნას, არ გაეკეთებინოს... ამიტომაც ყოველი კუთხე მადლიერი ჰყავს და ყველა მის სულსა ლოცავს... ოო, თუ განგებამ და ღმერთმა დააცალა, დიდ ბედნიერებას მოუტანს თავის ხალხსა... თუმცა ისე, რასაკვირველია ეხლაც ბევრნი არიან მძლავრნი და გავლენიანი სახელმწიფოში.. აი ყველაზე უფრო დიდი კაცი, სიმდიდრით და სიმძლავრით მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანია... ოო, სხვა ნაირი კაცია... პირდაპირ მეფეა თავის ქვეყანაში, მაგრამ ჭკვიანია და ჯერ-ჯერობით ერთგულია თამარისა... რომ მოისურვოს? ოო, დიდი ზიანი შეუძლია მიაყენოს სამეფო ტახტსა...

დარბაზში მყოფნი კვლავ შეინძრნენ. ჩოჩქოლი შეიქმნა.

მწიგნობართ-უხუცესი დიდი ჭყონდიდელი და სრულიად საქართველოს ქათალიკოსი მხცოვანი ნიკოლოზი შეობრძანდნენ დარბაზში.

„ისპოლა!“, გაისმა მგალობელთა გუგუნი დარბაზში.

კუზმამ მოიხედა. მგალობელნი ვერსად ნახა. შარაგანმა აუხსნა, რომ განის კედლებში, მაღლა, ქორედზე იყვნენ მოთავსებულნი.

ჭყონდიდელი და ქათალიკოსი, ნათელის სახით, ორივ მხრისკენ ხელებით ჯვარს სახავდნენ და ისე მოემართებოდნენ.

კუზმამ თავი დახარა.

დ.

ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ქათალიკოსთან ხელზე სამთხვევლად. ეგრევე ჭყონდიდელთან.

კუზმას უკვირდა, რომ ეს ამოდენა ქალი და კაცი არც არეულა ერთი მეორეში, არც ერთს მეორისათვის გაუსწვრია, არც მიხლი-მოხლიან ერთმანეთს. მორიგისით, უფროს-უმცროსობით ნელად ჩამოიარეს, გამოსთხოვეს შენდობა ეკლესიის მამათმთავრებს და ისევ თავის ალაგას დადგნენ.

ქათალიკოსი ავიდა მისთვის მიჩენილ საფეხურიან ტახტზე და მარგალიტით მოოჭვილ შავი ხავერდის დალიჭზე დაჯდა. საფეხურთან კი მისი კვერთხის მტვირთველი საამური სახის მორჩილი გაჩერდა.

მის მოღმა ცოტა უფრო მომცრო ტახტზე ჭყონდიდელი დაბრძანდა. მასაც მისი მორჩილი მიუდგა საფეხურთან.

ვარდან დადიანმა შარაგანის თანხლებით უფლის წული იურია და კუზმა რუსი მიჰგვარა ქათალიკოსსა და ჭყონდიდელს.

ორივ მწყემს-მთავრებმა სათნოდ მოიკითხეს უფლის წული.

სწორედ ამ დროს ბუკის ხმა გაისმა და მთელი დარბაზი შეშმაშურდა.

თვით ქათალიკოსმაც კი გაისწორა პანაღია და თოვლივით თეთრ სპეტაკ წვერზე ხელი ჩამოისვა.

მეფის ტახტის საფეხურთან ამავე დროს გამოჩნდა დარბაისელი და გონიერი სახე სკარამანგ-მოსილისა და არგა-მპყრობელის მანდატურთ-უხუცესის ჭიაბერისა.

მან არგანი ზე-ასწია და მყისვე მამაკაცთა მგალობელმა გუნდმა სავაჟკაცო ჰიმნი დასძახა ქორედიდან.

მიმოიბნენ ეს ხმები დარბაზის კედლებ შორის. თითქო სალამი უძღვნეს კედლებზე მოხატულ ქართველ გმირებს და ღვაწლ-მოსილებს, მადლობით შეჰღიმოდნენ გარემოს, შემდეგ გვირგვინათ დაადგნენ თავს იქ მყოფთა და ბოლოს ჩასწვდნენ გულთა.

გუგუნებდა ვაჟკაცთა გამონაძახი. იზრდებოდა, სუქდებოდა, ფართოვდებოდა. თითქო ვერ იტევდა ამ ხმებს დარბაზი, მაგრამ არც თუ იბზარებოდა და მეტის მეტი ტლანქი მიწოლისაგ ნ.

შეტრიალდებოდა კრიმანჭული, დაუგურგურებდა ბანი და სულ დინჯი დვრინი ქრისტიანულ სათნოებამდე ჩამოიყვანდა მოძახილსა და დამწყების წარმართულ გამყვანობას.

ოქროს სამეფო კარები გაიღო.

თითქო გაიელვაო მთელს დარბაზში. მოძრაობისგან კრთომა მოიღეს ძვირფასმა ქვებმა და კეთილშობილმა ლითონმა.

თეთრსა და ლურჯ ფერებში მოსილნი უცხო ასულნი გამოვიდნენ ამ კარებიდან.

და ამ სისპეტაკემ სრულიად დაჰფარა ბრჭყვიალა ოქრო.

მოდიოდნენ. თითქო ბოლო არ უჩანდა.

შემორკალა ამ სითეთრემ, ლურჯში რეულმა, ფართო წრე დარბაზის შუაგულ. იმავ დროს გაისმა უზენაესი ქალთა საგალობელი.

ვაჟნი სდუმდნენ.

ეს საგალობელი ნამდვილი წარმართული იყო, ოდესღაც სარწმუნოებრივი ჰიმნი, მაგრამ ეხლა საერო, სამოქალაქო კილოდ დარჩენილი.

ამ საგალობელში ქალთა ნაზი ბაგე შეამკობდა ღმერთ-ქალს ყამარს, რომლის კოშკიც „ცაზე იყო ჯაჭვით ჩამოკიდული“. ვიღაც თანამედროვე მგოსანს კი გადაექდო ამ თქმულებისთვის თვისი ნაწარმოები და **ყამარის** ქება **თამარი**-საზე გადმოეყვანა.

მსმენელნი იხიბლებოდნენ ამ ნარნარ ხმათა ბგერით.

მაგრამ აგერ ეს საგალობელიც შესწყდა და წინწილათა და ებანთა შექმნეს უცხო წკრიალი.

იმავე დროს სამეფო ტახტის ახლო, მარმარილოს ორ კვარცხლბეკზე შემდგარ ოქროს ლარნაკებს მოლურჯო, ძლივ-დასანახი ბოლი ავარდა და მთელს დარბაზს მოეფინა მუშკისა და ამბრის სურნელება.

დარბაზში თამარ პირი-მზე შემოდიოდა.

ე.

კუზმა თითქო ამ ქვეყნად აღარ იყო.

მას სიზმრადაც არ მოჩვენებია ამ გვარი რამ. არც თუ სადმე ზღაპრად ჰქონდა განაგონი.

— ეს სამოთხეა, თუ ამ ქვეყნადა ვარ?—

ფიქრობდა კუზმა და მიწიერი ცნობის მოყვარეობა თანდათან სტოვებდა მას. მისი უმეშველო ბუნება უკვე მზად იყო კი არ განესაჯა გარემო ვითარება, არამედ პირდაპირ რწმენათ გაეხადა.

ხოლო, როდესაც თამარი პირველ იხილა, თითქო გული ჩაწყდა სამუდამოდ:

— ეს მართლა ღვთაება ყოფილა, ჩვენ საიდან ვბედავთ ესეთი ამაყური ზრახვანი გულს ჩავიდოთო.

თავის თავი სულ პატარად, მცირეთ მოეჩვენა და ვით მზისგან თვალმოჭრილმა, მეფე ქალს თვალი აარიდა. თითქო უნებლიეთ მის უფლის წულს გადახედა.

იურია-გიორგის სახე მოღრეცოდა, პირი დაელო და თითქო არაფერს არ უყურებსო, ისე იყო გარინდული.

კუზმას სისხლი თავში აუვარდა ამ სანახაობაზე. შორს იყო იურიასაგან. წესისამებრ სხვა რიგში ჩაეყენებინათ, მაგრამ არ დაერიდა წესიერების დარ-

---

რომ მძიმე-მძიმედ დღესაც შეიძლება ეროვნული სულის დაცვა ჩვენსავე თაოსნობით დაარსებულ სკოლებში, უკეთუ ხელს ავიღებთ ზოგიერთ "უფლება-უპირატესობაზე", რომელიც, კაცმა რომ სთქვას, უფრო ეროვნული გადაგვარების „უფლება“ არის: ამ „უფლება-უპირატესობის“ მაცდურება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი სამშობლო ენისა და ეროვნული სწავლა-აღზრდის მთელი წარსული ტრადიცია და სიყვარული! ეს ძველი გზა და ჩვენი ეროვნული აღდგომა ერთი მეორესთან მოუთავსებელია. ერთის მეუფება მეორის სრული უარყოფაა. მთელი მეცხრამეტე საუკუნე და მიმდინარე მეოცე საუკუნეც სწავლა-აღზრდის მხრივ ჩვენი ნაძალადევი ეროვნული გადაგვარების ექსპერიმენტის საუკუნეებია. დღეს ამ „უფლების“ უარყოფაზე აღიგო ქალთა ქართული სემინარია. „განათლების“ საზოგადოებამ მიაგნო იმ გზას, რომელ გზითაც უნდა მოხდეს ჩვენი ეროვნულ-კულტურული აღორძინება. არამც თუ მიაგნო, არამედ იგი პრაქტიკულად ამ გზას დაადგა.

# ომის ა

## ბრძოლის ველზე

სასტიკი ბრძოლა კვლავ სწარმოებს როგორც აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე, ისევე რუმინეთის ასპარეზზე. საგულისხმოა, რომ რუშჩუკსა და ტურტუკაის შუა„ მდ. დუნაიზე გადმოსული რუმინელების ჯარი იძულებული გამხდარა ისევე უკანვე გაბრუნებულიყო. ეტყობა გერმანელებს მოუსწვრიათ ჯარების მიშველება. რუმინელებს რომ აქ დაწყებული ოპერაცია გაეფართოვებინათ, მაშინ მთელი გერმან-ბულგარების ჯარი საშიშ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რადგან უეჭველია ზღვის მიმართულებით გზას გადაუჭრიდნენ და მთავარ საკვებ ბაზას მთელ ჯარს მოსწყვეტდნენ. წინდაწინვე მოსალოდნელი იყო გერმანელებისაგან სასტიკი ზინააღმდეგობა სწორედ ამ მიდამოებში.

გუშინდელი ოციციალი დეპეშა გვატყობინებს, რომ დობრუჯში ანტიბის ახლოს სასტიკი ბრძოლა დაიწყო. შეიძლება კაცმა იფიქროს, აქ ინიციატივა უფრო გერმანელებს ეკუთვნის. რაკი რუმინელები უკანვე გადარეკეს მდ. დუნაიზე და ამით უზრუნველ ჰყვეს თავიანთი თავი შემოვლისაგან, უეჭველია განაახლებდენ კიდევაც შესევას დობრუჯში.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ბრძოლის ველს, აქ რუსები კვლავ განაგრძობენ შეტევას. მოპირდაპირე სასტიკ წინაამდეგობას უწევს და თვითონვე იწყობს დროგამოშვებით კონტრიერიშებს. უეჭველია ბრძოლამ აქ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ძალიან მალე მის შედეგსაც შევიტყობთ.

დანარჩენ ბრძოლის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**24 ენკენისთვე**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. პენიაკის, ბუკოლოვცეს და გლინვშეს მიდამოებში, ზოლოჩევსკის მიმართულებით ცხარე ბრძოლაა. მოპირდაპირე თავგანწირვით გვიგერიებს და სამაგიერო იერიშები მოაქვს. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 15 აფიცერი და 522 ჯარის კაცი. ბრჟეზანის სამხრეთ მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტრის პოზიციის ნაწილი აიღო და გერმანელოსმალების რამდენიმე იერიში მოიგერია.

**კავკასიის ასპარეზი.** კარშუთ-დარასის მდინარისაკენ, ზღვის სანაპიროებში, ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს აქ ტყვეები წამოვიყვანეთ.

დობრუჯში ჩვენი შეტევა გრძელდება. 300-მდე ტყვე წამოვიყვანეთ.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარ ბანაკის ოფიციალი ცნობა. ანკრას სამხრეთ ბრძოლის ხაზზე ღამე ხამუშ-ხამუშ ზარბაზნების სროლა იყო. შვაბენის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის ქვეითა ჯარი დააზარალა. სენტ-ელუას აღმოსავლეთით მტერმა უნაყოფოდ სცადა ჩვენს თხრილებში შემოჭრა.

მახლობელ აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედების ოფიც. ცნობა. ენიკიოსთან ბრძოლა 21 ენკენისთვეს დილის 3 საათზე ჩვენის გამარჯვებით დასრულდა. სერესისაკენ მიმავალ

რაზმები ... ობაროვენიბროტის მიდამოებში. მეორე მხრივ წინ წაიწიეს ბაბას მთის ორივ კალთაზე და ბუფ-პოპის მიაღწიეს.

**რომი.** იტალიის მთავარბანაკის ცნობა. 21 ენკენისთვეს მტერმა ახალი ჯარი მოიშველია და კოლბარიკონის მხარეს წინ წაწევდილი თხრილები დაიბრუნა. მტრის არტილერიამ დააზიანა სოფ. სან-ფორნია, ვოლტრი, ტიმაო და გოლიარო. აქ ასეთივე ზიანია გონიცაში.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ფრიდრიხ ნაუმანის აზრი.**

Die Hieté“ ში მოთავსებულია ფრ. ნაუმანის წერილი გერმანეთის დღევანდელ ვითარებაზე. ნაუმანის აზრით ომის დაწყებისას გერმანეთმა ერთბაშად და ჭარბად გამოიყვანა ბრძოლის ველზე ცოცხალი ძალა და თავსაყრელად მიაყოლა ყოველგვარი სამარი

არა მარტო სამხედრო საქმის მხრივ.

ჯერ გამორკვეული არ არის რა მოსზარებით ვერ გაჰბედეს გერმანელებმა თავისი გამარჯვების ბოლომდე მიყვანა იმ ზამთარსვე. ჯერ არ ვიცით რა მოსაზრებით შეჩერდნენ გერმანელები 1000 ვერსზე გაჭიმულ ისეთ ბრძოლის ხაზზე, რომელსაც არავითარი ბუნებრივი სიმაგრე არ იფარავდა. ჯარის სიმცირეს ვერ მივაწერთ, რადგანაც ვერდენთან თებერვლის ბრძოლამ დაამოწმა სულ წინაალმდეგი.

ამ შემთხვევაში, რუსების ჩვეულებისამებრ ჩვენც სასოებით უნდა ალვიაროთ, რომ გერმანელებს ღვთაებრივმა ძალამ შეუშალა ხელი.

როდესაც შევიტყეთ, გერმანელებმა გადასწყვიტეს საფრანგეთ-ბელგეთის ასპარეზზე გადატანა სამხედრო მოქმედებისა, მაშინვე მივხვდით, რომ გერმანელებმა ომი წააგეს. „დასავლეთის ასპარეზზე ვერ გაგვტეხავსო“, ვიფიქრეთ ყველამ. დარწმუნებული

**დაბრუჯის კუთხისა. ამ ადგილების დაპყრობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსალოდნელია აქ ამ მოკლე ხანში დიდი ბრძოლა დაიწყოს და სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდეს.**

—

**საბერძნეთში მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენელნი ვენიზელოსს მხოლოდ საქმეზე ელაპარაკებიან და არა ოფიციალად. კალოგეროპულოსის კაბინეტსაც უკანონოდ სცნობენ და მოკავშირენი მასთან არავითარ კავშირს არ იჭერენ. მეფის სამყოფი კი ციხე-სიმაგრედ არის გადაქცეული.**

—

**ძირითად კანონების 87 მუხლის მიხედვით გამოიცა ახალი კანონი, რომლის ძალით სისხლის სამართალში იძლევიან ის ვაჭრები, რომელნიც სანოვაგე-სურსათის ნიხრს ან აძვირებენ და ან აფოლებენ.**

—

**მთავრობის დაწესებულებანი.**

მეფის ნაცვლის საბჭომ თბ. საბალოსნო სკოლის წყალსაყვანის გასამართად 3.334 მან. გადასდო.

◆ **ყვირილა-ხაშურის უღელტეხილი.** მეფის ნაცვლის საბჭომ მოისმინა ინჟ. ი. ი. დადიანის მოხსენება ჰიდრო, - ელექტრონულ გზის გამართვის შესახებ ყვირილასა და ხაშურს შუა სიგძით 59 ვერსისა. საელექტრონო ძალის მისაწვდენი სადგური ამ უღელტეხილზე მოძრაობას 336—700 ვაგონს მოუმატებს დღეში, ვიდრე ეხლა რკინის გზა იძლევა და ხარჯებიც 60 პროცენტით შემცირდება. სადგური ხოფის წყალსა და ჭამის წყალის პირას უნდა გაიმართოს მთიან ადგილას, სადადიანოში, ზუგდიდის მაზრაში. მეფის ნაცვლის საბჭომ მიიღო ეს მოხსენება მთლიანად და მოიწონა. საქმე ეხლა იმაზედაა დამოკიდებული, რამდენად ეს მოხსენება გზათა სამინისტროს მოთხოვნილებას დააკმაყოფი-

კოვსკის თავმჯდომარეობით დანიშნულია თათბირი პურზე ნიხრის დაწესების შესახებ.

◆ **ქალაქთა კავშირის კრება.** 23 ენკენისთვეს შესდგა ქალაქთა კავშირის სხდომა, რომელმაც დაპყრობილ ადგილების მცხოვრებთა გამოსაკვებად 5 მილიონი მანეთის ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა. ამავე კრებაზე ბაქოს საკვებ კომიტეტის რწმუნებულად არჩეულ იქმნა გრ. ტ. რობაქიძე.

◆ **ქალაქთა კავშირის დაწესებულება** დღეიდან ახალ ბინაზე გადადის, საკრედიტო საზ. სახლში, პუშკინის ქუჩაზე „ტრეუგოლნიკის“ თავზე.

**სასწავლებლები.**

◆ **მედიცინის ფაკულტეტი.** კვირას 2 ღვინობისთვეს, არტისტ. საზ. საკონცერტო დარბაზში იხსნება ქალთა უმაღლეს კურსების სამედიცინო ფაკულტეტი. ლექციების კითხვა 3 ღვინობისთვიდან დაიწყება.

◆ **საფერშლო სკოლა** მიმდინარე სამოსწავლო წლიდან უკვე გადაკეთე-



მძიმე არტილერია.



ინგლო ქალები.

ღვევა და მისი ბატონიშვილისაკენ ანაზდათ გაიწია.

ბედი!

სწორედ ამ დროს მისკენ იბრუნა პირი იურიმ და სახეც თითქო უფრო გაუსწორდა.

კუზმას აღარ დასჭირდა მისკენ წასვლა: მთელი მისი გამომეტყველება იხმარა და ანიშნა—გასწორდიო.

ეტყობა ისეთი ძალუმი იყო ეს ნიშნება, რომ გაზრდილი მიუხვდა საწადელს და მისმა სახემ უკვე ჩვეულებრივი სიუწყაზრე მიიღო. თვალებმაც კი გაუცინეს.

— მადლობა უფალს, ყველას გხედავთ კვალად მშვიდობით!

ეს იყო თამარის ხმა.

მაგრამ რა ხმა იყო იგი?

კუზმა ეხლა ყურებსაც აღარ უჯერებდა: მტკიცე და ნაზი, ძალდაუტანებელი და ყველასათვის გასაგონი, თან ბგერა ხმისა ნამდვილ მკერდიდან ამომხდარი—მკვრივი და კრიალა, უხიწვო და შინაარ იანი.

ტახტზე იდგა მეფე-ქალი.

თეთრი სამოსი ეცვა, ლურჯი ფარჩის ოლარითა და სამხრეებით, რომლებიც თეთრის მარგალიტებით იყო მოოჭვილი. თეთრივე გვირგვინი ედგა ლაჟვარდოვან თვლებით მორთული, წვრილ ფირუზების არშია-მოვლებული.

მაღალი ტანის იყო, ახოვანი ჰაეროვანი. თითქმის სრულიად ახალგაზრდა, უმანკო გამომეტყველების, მაგრამ მაღალ ფიქრსა და ზრუნვას სიდარბაისლის იერი უცხოდ შეექსოვა მის ნატიფ სახე-პირისათვის.

თვალებ ჰქონდა უსაზღვრო ლმობიერებით აღსავსე, შენწყალე და მომტევებელი, მაგრამ იმავ წამს იგრძნობდით, რომ ამ გამომეტყველებას ვერ გაუშინაურდებით, ვერ გაუტოლებთ თქვენს განცდას, ვერ ჩაითრევთ ყოველ-დღიურ, წვრილმან სურვილებში.

აქ იბადებოდა უფსკრული თქვენს შუა.

ის ყოველთვის მაღლობზე იდგა.

ეს ყოველივე კარგა შეაჩნია კუზმამ და თანდათან მეტმა კრძალვამ მიიპყრო.

თვალი მიმოავლო დარბაზს.

შეამჩნია: იქ მყოფთ თითქო რაღაც გამოუთქმელი სანეტარო ნათელი გადაჰფენოდათ. ყველა თითქო მის მეფე-ქალს შეხაროდა. შეფრფინვით შესცქეროდნენ: ესახელებოდათ და უყვარდათ.

— ვინ არის, რომ თაყვანი არ სცეს ამ ღვთიურ არსებას? თავი არ გასწიროს მისთვის? სხვა მიზეზი რაღა უნდა? თამარი ბრძანებს, თამარისთვის საჭიროა... უნდა შესრულდეს. როგორ ეტყობა ყველას გამომეტყველებას, რომ ამ აზრს ადგანან. სხვა ხატი რად უნდათ, სხვა სალოცავი?.. არა, ჩვენ მაგას არავინ არ მოგვანიჭებს... თუმცა...

მაგრამ შესწყდა კუზმას ფიქრთა გრიობა.

ქათალიკოსი რაღასაც ბრძანებდა.

კუზმას არა გააგებოდა-რა, მაგრამ შეატყო, რომ ეს თუ თამარის ხოტბა და ქება არ იყო, დალოცვა მაინც იყო.

უეცრად იგრძნო, რომ ქათალიკოსმა ის და უფლის წული დაასახელა.

— რუსი! რუსი!

ეს აღვილი მისახვედრი იყო მისთვის.

მსახურთ უხუცესი დადიანი წინ წამოდგა და იურიდ და კუზმა გაიწოდა.

ორივენი წარდგნენ პირიმზე წინაშე.

თავი დახარეს.

ხოლო, როდესაც კუზმამ მეფე-თამარს ზე ახედა, ვერაფერი ამოიკითხა მის სახეზე, თავაზიანი გამომეტყველება იყო, მაგრამ მაინც ტვინში შავად გაუელვა:

— წავაგეთ!

3.

ზეიმი დასრულდა.

თამარმა სანადიმოთ მიიწვია სტუმრები და თვით კი ისევ მის სამყოფელს დაბრუნდა.

ოთახის კარებამდე მიაცილა ქალთა ამალამ და შემდეგ მხოლოდ გამდლის და ორიოდე შიმუნვარის ამარა შებრძანდა ოთახში.

ოთახის კარის გარეთ ორი ბუმბერაზი მთიული დარაჯათ დადგა.

ოთახის დასავლეთის მხრით პაწია ჩარდახი ჰქონდა, საიდანაც მთელი ქალაქი იხედებოდა.

თამარი მარტო გავიდა ჩარდახზე და ვარდის ფერ მარმარილოს მოსხლეტილ სვეტს მარცხენა ხელი მიაყრდნო.

მის სახეს საშინელი დაღლილობა და სევდა დაეტყო.

თვალთა გამომეტყველება ჩაუღრმავდა, თითქო შინაგან, მის სულიერ ვითარებას ათვალიერებსო.

იგრძნო, რომ სადღაც შორს შეგნებაში კვლავ დაბრუნდა თამარ-ქალი და თამარ-მეფეს კამათი დაუწყო.

— აბა რას ჩადიხარ, თამარ?!—

ამბობდა ქალი.

— რა გინდა მოიქმედო?.. გინდა გაჰყვე ამ შორეულს უფლის წულსა?.. გული რომ მაგას არ გითქვამს? რომ არც მოგწონებია?.. კარგად შეამჩნიე ლამაზია, ვაჟკაციც უნდა იყოს, მაგრამ ისიც ხომ შეატყვე: თვალები აქვს ამღვრეული! ეგრე ახალგაზრდა და სად დაკარგა სიცოცხლე და სიწრფოება წმინდა სულისა?.. მერე ეგ რა შენი ფერია! რას უჯერებ დიდებულებს, რას დასდევ ხალხის ხმას?.. განა შენი გული უფრო ძვირფასი არ არის შენთვის? შენი წრფელი გრძნობა, შენი განცდა, შენი სიმართლე... თავს ხომ ვერ ეტყუები?.. შენი გული ხომ მკვდარია უკვე, შენი გრძნობაც ჩაფერფლილი... მას ვეღარას უშველი!.. გლოვა გმართებს უკვე!.. მაშ რათ არ უჯერი შენ გულს, რასაც გიკარნახებს... რა კი არ გელირსა ამ ქვეყნიური ბედნიერება, შენი გულის ყვავილის გადაფურჩქვნა, აღიკვეცე მონაზვნათ, წადი მონასტერში...

— მონასტერში?—

დაიწყო მეფემ.

— მერე სამეფო?.. მერე მისი საქმეები?..

— სამეფოს რას დაეძებ, შენ შენს თავზე იზრუნე...

— მერე რომ მოხდეს აღშფოთება ამ ქვეყანაში?.. მერე რომ მონაზვნათ წავიდე ტახტს ვინღა უპატრონებს?.. ხომ განდიდდნენ მაშინ ერისთავნი,



სულ სხვა სფეროსათვის გადავდოთ. ამ ჟამად დავუბრუნდეთ [illegible]. ჩვენ ვეცადეთ ამ პატარა წერილებით აგვეწერა ფართო საზოგადოებისთვის ის გრანდიოზული შენობა, რომელზედაც დაეყრდნო ახალგაზრდა იმპერიის შენობა. გავეცანით ხალხს, მმართველობას, წესწყობილებას, რაოდენადმე სოციალურ საკითხებს. ამ ერთი თვალის გადავლებით, მცირეოდენი ექსკურსიით საკმაოდ ნათელვყავით ფოკუსი გერმანეთის სიძლიერისა, რითაც მიუხედავად კლასობრივი და წოდებრივი სხვა და სხვაობისა მაინც მონახეს ერთი მტკიცე ნიადაგი გაერთიანების და ფოლადის რგოლებით გადაებმენ ერთმანეთზე. ახალგაზდა გერმანეთმა ვილჰელმის მეთაურობით მიიღო ერთი სახე, ერთი მეტყველება, ეს ის მეტყველება, რომელიც, სენობიოსის სიტყვით რომ ვსთქვათ, ინგლისს ერთგვარ „მენე, ტეკელ, ფარესად“ გარდაექცა. და არა თუ ინგლისს, როგორც დავინახეთ, საფრანგეთსაც და შემდეგ თითქმის მთელს ევროპასაც. ამას კარგად გრძნობდენ თვით გერმანელები. მათ სწამდათ თავიანთ მოწოდება, ამიტომ იყო სწორედ, რომ როდესაც დაჰკრა საბედისწერო საათმა უკიდურესი ბიურგერი, კაპიტალისტი, იეზუიტი თუ სოციალდემოკრატთა ახალგაზრდა ვარსკვლავი სახელოვანი ბელადი ფრანკი სიხარულით გარბიან ბრძოლის ველზე და იქ ჰპოვებენ სიკვდილს სამშობლოს ბაირაღის გასამარჯვებლად, რომლის სახებას თვითეული მათგანი გულში ისვენებს, მითი ჰსუნთქავს, მითი ამაყობს, და მიტომაც ასე თავგანწირულებით, ამაყად, თავისუფლად, ერთ ადამიანსავით მოიმღერს რეინის ნაპირებიდან: „ყოველი-ფერი გერმანეთისთვის!.. ყოველისფერი მის მიერ!.“

De-Ka

(შემდეგი იქნება)

P. S. ამ წერილის შუა ნაწილში, რომელიც „საქართველოს“ მე-211 ნომერში დაიბეჭდა, მეათე სტრიქონზე, თვითონ მთელი წინადადებაა გამოტოვებული, რის გამოც სრული გაუგებრობა გამოდის. სწერია: „ბისმარკის ასეთი წინასწარ მეტყველებათა პარტია ღმერთობას ჩემულობდა, სწრაფ გაზრდისთანავე სწრაფადვე ჩაიფერფლა“. უნდა იყოს: „ბისმარკის ასეთი წინასწარ მეტყველება სავსებით გამართლდა სოციალ-დემოკრატთა თავზე. გერმანეთში, სადაც მათი პარტია ღმერთობას სჩემულობდა, სწრაფ გაზრდისთანავე სწრაფადვე ჩაიფერფლა“ და სხვა.

De-Ka.

## ჩემი პასუხი

(დასასრული. იხ. „საქართვ.“ № 212)

2. შემკითხველები ბრძანებენ, ვითომ მე ვიყვე სუხოდოლსკის მოურავად და მქონდეს საკომისიო დამოკიდებულებანი კერძო პირებთან, მაგალითად, ტრიფონ ლამბაშიძესთან.

თუ რამდენად მოჰორილია ჩემი სუხოდოლსკის მოურაობა, მკითხველს ვთხოვ გაიგოს ჩემი პასუხიდან ბ. სტუმრისადმი (იხილე „სახალხო ფურცელი № 666). მაგრამ ეს არაფერია იმ საზიზღარ და მდაბალ ჭორთან, რომელიც შემკითხველებმა შეთხზეს ჩემ ვითომდა სხვა და სხვა პირებთან საკომისიო დამოკიდებულების შესახებ, რომლის დასამტკიცებლადაც მოიყვანეს ამხანაგობის მიწერ-მოწერა ტრიფონ ლამბაშიძესთან. აქ წინდაწინვე ვაცხადებ, რომ ერთ საბუთსაც ვერ დაასახელებს ვინც უნდა იყოს ძე ხორციელი, რომ მე საკომისიო დამოკიდებულება ვისთანმე მქონდეს. მთელი ჩემი მოქმედება თელავის ამხანაგობაში იქითკენ არის მიმართული, რომ მომხმარებელსა და მწარმოებელს შუა მოისპოს ყოველივე შუამავალი, კომისიონერი და სხ... ჩემი მრწამსია, რომ როდესაც თავის ნაწარმოებს ჩვენი ერი თითონვე უპოვის ბაზარს შუამავლებისა და ჩარჩ-კომისიონერების დაუხმარებლად; როდესაც თავის მეურნეობისა, მრეწველობისა და ოჯახისათვის საჭირო საქონელს და მასალას ისევ თითონვე შეიძენს მწარმოებელთაგან, შუამავლების დაუხმარებლად, მაშინ მართლა თავისუფლად და დამოუკიდებლად ამოისუნთქებს ჩვენი ერი. ხოლო ეს ეკონომიური დამოუკიდებულობა,—მრწამს,—ის ოქროს აკვანია, რომელშიაც ასვენია პოლიტიკური თავისუფლება ჩვენი ერისა.

ბევრს თავს არ შეგაწყენთ, მოკლედ მოგახსენებთ, რომ შემკითხველებმა პირდაპირ ჩემ სამლოცველო ტაძრის წმიდათა-წმიდას შეახეს ხელი და მომაწერეს ის საქმე, რის წინაალმდეგაც

[illegible] გამგეობის თხოვნით ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობამ ამ დროს შემომიერთებულმა კომიტეტმა სთხოვა ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას იკისროს საზოგადოებამ გაკეთება ეკლესიის გალავნისა ისე, რომ დაცული იყვეს ძველი ქართული სტილიო. ეს წინადადება განხილულ იქნა საზოგადოების კრებაზე 23 ამა თვეს და ერთხმად შეწყნარებული.

დ. სახხერე

— მოლაშქრეთა გაწვევის გამო თითქმის ყველა დუქნები დაკეტილია; საერთოდ დაბას სიცოცხლის ნიშანწყალი ოდნავ თუ ეტყობა.

— ადგილობრივი აკაკის სახელობის სამკითხველო დიდ უნუგეშო მდგომარეობაში ვნახე: მუხლამდის ეყარა იატაკზე მტვერი, პაპიროზისა და ასანთის ნამწვავი, სამკითხველოს არა ჰყავს მუდმივი მეთვალყურე, მისი დაკეტვა და გაღება შემთხვევაზე ყოფილა დამოკიდებული, ფოსტიდან დროზე ახალი გაზეთის მომტანი არ არის, მაგიდაზე ერთი კვირისგაზეთები ეყარა; ნეტა რას ფიქრობს ამ დროს სამკითხველოს გამგეობა?

### სამხატვრო

ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას კრება ჰქონდა 23 ამა თვეს. თავმჯდომარეობდა ბ-ნი გ. ჟურული. კრებას დაესწრნენ მხატვარნი, რომელნიც თითქმის მთელ ზაფხულის განმავლობაში მუშაობდნენ ნაბახტრევში და გადაიღეს 19 ფრესკი ძველი ეკლესიის შენობისა.

როგორც კრებაზე გადასწყდა, ახლო მომავალში უნდა გადაღებული ფრესკები გამოჰფინონ და საზოგადოების წევრებს უფრო დაახლოვებით გააცნონ. კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საპრემიო პროექტები ქართველ მოღვაწეთა პანთეონისა, რომელი პროექტებიც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაამზადებინა. ამ კომისიაში შედიან ბ-ნნი შევარდნაძე, თოიძე, მრევლიშვილი, გაბაშვილი, ნიკოლაძე, მამრაძე და კლდიაშვილი. კრებამ მოისმინა მოხსენება პროფ. ივ. ჯავახიშვილისა შესახებ საზოგადოების მუშაობისა ახლო მომავალში. აგრეთვე მოსმენილ იქმნა წინადადება სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტრისა და კამერ-იუნკერის თანამდებობაც აქვს; მას დასრულებული აქვს უნივერსიტეტი.

წარმოშობით თავ. ჯევახოვი—ქართველია, მისი წინაპარი, თავ. ჯავახიშვილი მოსულია რუსეთში მეთვრამეტე საუკუნეში, ვახტანგ მეფის ამალასთან ერთად; დედით კი თავადი ჯევახოვი ჩამომავალია რუსეთში წმინდანად გამოცხადებულ იოსებ ბელგოროდელისა; უკანასკნელ გარემოებისათვის სათანადო ყურადღებაც მიუქცევიათ თურმე.

თავ. ჯევახოვი ცნობილია როგორც საეკლესიო ისტორიის მცოდნე, კერძოდ მას ეკუთვნის წმინდა იოსებ ბელგოროდელის შესახებ დაწერილი ნაშრომი.

თავ. ჯევახოვი ცნობილია როგორც აშკარა მომხრე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა; ამ გარემოებას ზოგიერთნი, მაგალითად, გაზეთი „უტრო როსია“ კიდეც უკავშირებდენ თავ. ჯევახოვის მიწვევას ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე, როგორიცაა სინოდის პროკურატურა.

შესაძლებელია, რომ ოდესმე იყოს?

მოდი და ნუ ეტყვი მოლას: „აი, შხამათ“ კი შეგერგოს ეგ ფლავი...

მოდი და ნუ ეტყვი რჟევსკის... მაგრამ მე რა უთხრა? მოდი, ისევ შენ უპასუხე, მკითხველო.

ისკანდერ.

## საზოგადოების საყურადღებოდ

ავად თუ კარგათ ქართველმა ხალხმა განადგურებულ აჭარას ყურადღება მიაქცია. იქ შემოქმედებითი მუშაობა ახლახან დაიწყო, საკეთებელი ერთობ ბევრია. მაგრამ გზა უკვე ნაჩვენებია და იმედი უნდა ვიქონიოთ, ქართველობაც არაფერს დაიშურებს აჭარლების დასახმარებლად და გასათვითცნობიერებლად.

კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე რუსეთის ძლევამოსილმა წინსვლამ ქართველების წინაშე ერთი დიდი საზრუნავი წამოაყენა. ეს არის ჭანეთის საკითხი.

[illegible] მდიდრები კი, ესე იგი ისეთნი, ვისაც შემოსავალი უკანასკნელი 800—2200 მარკა ჰქონდათ, შესამჩნევად გამრავლდნენ. 1879 წლის აღწერილობით მხოლოდ 18 პროცენტია ასეთი შემოსავლიანი; 1898 წელს ეს რიცხვი 28 ავიდა. რაც შეეხება წვრილს საშვალო წოდებათ, რომელთა შემოსავალი ისაზღვრებოდა 2200—4800 მარკამდე, არც მათი რიცხვი შემცირებულა, როგორც ამას წინასწარმეტყველებდა მარქსის პესიმისტური კრიტიკა, პირიქით საგრძნობლად გაძლიერდა. ასევე გაბათილდა ის დებულება, ვითომც მდიდართა რიცხვი კლებულობდა. იმავე საქსონიაში თუ 1879 წელს 930 მდიდარი იყო, 1894 წელს მათი რიცხვი 2547 ავიდა, ესე იგი, უკანასკნელი სამჯერ მაინც გამრავლდა. მაშასადამე, იული ვოლფის თქმისა არ იყოს, სტატისტიკა კონცენტრაციაზე კი არა, მხოლოდ კაპიტალის ზრდაზე გვითითებს და მეტი არაფერი.

მაგრამ შევჩერდეთ. აქ არ გვაინტერესებს სოციალისტურ მოძღვრებათა და მიმდინარეობათა გაკრიტიკება, ეს

დიდებულნი და ასტეხეს ურთი-ერთარს შფოთი და ამბოხი?..

— მაშ კარგი. დარჩი ისევ მეფიდ და განაგე შენი საყვარელი ქვეყანა, მხოლოდ ნუ შეიულლებ ნურვის, რადგან შენი გულის მეუფე ვერვინ გახდება... თავს აბა რად ეცრუები.

თამარ-ქალს ნელი ოხვრაც კი აღმოხდა, მაგრამ თამარ-მეფემ სევდიანმა დინჯათ შეუბრუნა:

— ვაგლახ მე, რომ არც ეგ ეგების... ვიყო მეფედ და მეუღლე არა მყავდეს, ვიყო გამგე ქვეყნისა და ტახტს მემკვიდრე არ დაუტოვო?.. საბოლოოდ ხომ აქაც აღრევა სოფლისა და შული საძმო უნდა დავთესო...

— შენი თავი?

— ჩემი თავი უნდა დავთმო, ბედშავო თამარ!.. ქვეყნის ბედი უმაღლესია ჩემს საპირადოზე. ხალხი მოითხოვს, რომ ტახტს მემკვიდრე ჰყავდეს! კანონიერია მისი სურვილი. ჩემი ტახტი მისი შემაერთებელი ღონეა. გზა და ხიდია მისი კეთილდღეობისა. მეც ეგ უნდა მივანიჭო. ტახტს მისი, ეფრემის რტოით მემკვიდრე უნდა ჰყავდეს... მართალნი არიან!.. ქმარი უნდა შევიულლო და აქ ჩემ გულს არავითარი არ უნდა ძალ-ედვას... მას მდუმარება მართებს... და თუ ის მკვდარია, ამითი უფრორე უნდა მოკვდეს და ამ სიკვდილით განაცოცხლოს ხალხის სიკეთე, მისი მშვიდობიანი მომავალი... მხოლოდ ვინ? ვინ?.. ეს ჭაბუკი რუსი?.. აი აქ კი, თამარ-ქალო, მე თამარ-მეფეც შენი აზრის მოზიარე ვარ: ღირსი კი არის ეს უცხო და სრულიად უცნობი ახალგაზრდა ადამიანი საქართველოს მეფობისა?.. შეიძლებს ამ დიდათ საპატიო მოვალეობის ტვირთვას?.. დიდი დავით აღმაშენებლის ტახტს, მამა ჩემის გიორგი ლომ-გულის სკიპტრას ღირსებით შეიფერებს?.. აქ ხომ არ ცდებიან ქართველები? ვინ არს ეს რუსი?.. საიდან იცნობენ?.. იციან მისი ასავალ-დასავალი?.. საყვარელმა მამიდამ მიბრძანა, რომ უცებურად არის ჩამოყვანილი. ერთ თათბირზე აბულ-ასანს უქია როგორღაც... ეხლა ირკვევა რომ მხოლოდ ჩვენს სოვდაგარს ზანქანს ცნობია თურმე... მაკვირვებს ესოდენ ნაჩქარევი გადაწყვეტა საკითხისა. რისა ერიდებათ?..

თანდათან გაიტაცა თამარ-მეფე სამეფო ზრუნვამ და ახალგაზდა თამარ-ქალი, მისი სიმკვირცხლით მფეთქავი გული თითქო სულ მიყუჩდა.

მეფე განაგრძობდა თავის თავთან ბჭობას.

— ხომ არ აფიქრებს ამ ხალხს, რომ ამ ჟამადაც ხიფათი რამ მოელის სამეფო ტახტსა... ის პირველი ამბოხება ხომ დაცხრა. მართალია ყურთლუ-არსლანის დასს არრა დავუთმე და სრულიად შევცვალე სახელმწიფოს გამგენი და ხელმძღვანელნი, მაგრამ თვით მე სწორედ ის გავაკეთე, რაც ხალხს უნდოდა. სახელმწიფო საკითხებს ხალხის წინამძღოლთა და ერის თავთა „თანა-დგომითა და ერთ-ნებაობით“ ვსჭრი მეცა. მაშ ვილა უნდა იყოს უკმაყოფილო... ხალხი?... აკი მათთვის ზრუნვას არ ვიშლით და თანდათანობით მაქვს ღვთის იმედი, მისის შეწევნითა ბევრს სასიკეთოს მოვაგვარებთ. მაშ ერისთავთაგან?.. ჰოო! ეგ კი შესაძლოა... ნეტა ვინ?.. ვინ?.. ნუ თუ დადიანი?.. ან რად გამახსენდა უთუოდ ეს?.. არა, არა... არ მაცთუნებს... მძლავრი კაცია, დამოუკიდებელი და პატივთ-მოყვარე .. ვინ უწყის რა არ განიზრახოს!.. ბრძნულადა ბჭობენ მაშ ქვეყნის მოჭირნახულენი... დიაღ, დაჩქარება უნდა საქმესაო... მხოლოდ ამასთან?.. ამ ჩვილ ბალღთან?.. რა ვქნა, უფალო, მის თვალებში მე გონება ვერ ამოვიკითხე და სული წმინდა და სპეტაკი ვერა ვპოვე... საშვილიშვილო შეცდომა არ მოგვივიდეს...

უფრო ჩაფიქრდა დიდი მეფე:

— ჰა, ჩემო ხალხო... უკუ ვაგდე ჩემი საპირადო... მოვდივარ შენთან... ისე ვმსჯელობ ვით სახელმწიფო მბჭობელი ვინმე, მაგრამ **საშვილიშვილო შეცდომა არ მოგვივიდეს!**

ფიქრმა მეორეჯერ გაიფეთქა ეს უკანასკნელი წინადადება.

**შალვა დადიანი.**

(შემდეგი იქნება)

## ვირი და დიპლომატია.



„ქვეყანა გამოცვალა, ვირად დარჩი მაინც ვირო“.



შიშის გამო.



ჩვენი დროის რაინდი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



რომ მძიმე - მძიმედ დღესაც შეიძლება ეროვნული სულის დაცვა ჩვენსავე თაოსნობით დაარსებულ სკოლებში, უკეთუ ხელს ავიღებთ ზოგიერთ “უფლება-უპირატესობაზე“, რომელიც, კაცმა რომ სთქვას, უფრო ეროვნული გადაგვარების „უფლება“ არის: ამ „უფლება-უპირატესობის“ მაცდურება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი სამშობლო ენისა და ეროვნული სწავლა-აღზრდის მთელი წარსული ტრადიცია და სიყვარული! ეს ძველი გზა და ჩვენი ეროვნული აღდგომა ერთი მეორესთან მოუთავსებელია. ერთის მეუფება მეორის სრული უარყოფაა. მთელი მეცხრამეტე საუკუნე და მიმდინარე მეოცე საუკუნეც სწავლა-აღზრდის მხრივ ჩვენი ნაძალადევი ეროვნული გადაგვარების ექსპერიმენტის საუკუნეებია. დღეს ამ „უფლების“ უარყოფაზე აღეგო ქალთა ქართული სემინარია. „განათლების“ საზოგადოებამ მიაგნო იმ გზას, რომელ გზითაც უნდა მოხდეს ჩვენი ეროვნულ-კულტურული აღორძინება. არამც თუ მიაგნო, არამედ იგი პრაქტიკულად ამ გზას დაადგა.

# ომის ა

## ბრძოლის ველზე

სასტიკი ბრძოლა კვლავ სწარმოებს როგორც აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე, ისევე რუმინეთის ასპარეზზე. საგულისხმოა, რომ რუშჩუკსა და ტურტუკაის შუა მდ. დუნაიზე გადმოსული რუმინელების ჯარი იძულებული გამხდარა ისევე უკანვე გაბრუნებულიყო. ეტყობა გერმანელებს მოუსწვრიათ ჯარების მიშველება. რუმინელებს რომ აქ დაწყებული ოპერაცია გაეფართოვებინათ, მაშინ მთელი გერმან-ბულგარების ჯარი საშიშ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რადგან უეჭველია ზღვის მიმართულებით გზას გადაუჭრიდნენ და მთავარ საკვებ ბაზას მთელ ჯარს მოსწყვეტდნენ. წინდაწინვე მოსალოდნელი იყო გერმანელებისაგან სასტიკი წინააღმდეგობა სწორედ ამ მიდამოებში.

გუშინდელი ოციციალი დეპეშა გვატყობინებს, რომ დობრუჯაში ანტიბის ახლოს სასტიკი ბრძოლა დაიწყო. შეიძლება კაცმა იფიქროს, აქ ინიციატივა უფრო გერმანელებს ეკუთვნის. რაკი რუმინელები უკანვე გადარეკეს მდ. დუნაიზე და ამით უზრუნველ ჰყვეს თავიანთი თავი შემოვლისაგან, უეჭველია განაახლებდენ კიდევაც შესევას დობრუჯაში.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ბრძოლის ველს, აქ რუსები კვლავ განაგრძობენ შეტევას. მოპირდაპირე სასტიკ წინააღმდეგობას უწევს და თვითონვე იწყობს დროგამოშვებით კონტრიერიშებს. უეჭველია ბრძოლამ აქ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ძალიან მალე მის შედეგსაც შევიტყობთ.

დანარჩენ ბრძოლის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**24 ენკენისთვე**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. პენიაკის, ბუკოლოვცეს და გლინვშეს მიდამოებში, ზოლოჩევსკის მიმართულებით ცხარე ბრძოლაა. მოპირდაპირე თავგანწირვით გვიგერიებს და სამაგიერო იერიშები მოაქვს. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 15 აფიცერი და 522 ჯარის კაცი. ბრჟეზანის სამხრეთ მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტრის პოზიციის ნაწილი აიღო და გერმანელოსმალების რამდენიმე იერიში მოიგერია.

**კავკასიის ასპარეზი.** კარშუთ-დარასის მდინარისაკენ, ზღვის სანაპიროებში, ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს აქ ტყვეები წამოვიყვანეთ.

დობრუჯაში ჩვენი შეტევა გრძელდება. 300-მდე ტყვე წამოვიყვანეთ.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარ ბანაკის ოფიციალი ცნობა. ანკრას სამხრეთ ბრძოლის ხაზზე ღამე ხამუშ-ხამუშ ზარბაზნების სროლა იყო. შვაბენის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის ქვეითა ჯარი დააზარალა. სენტ-ელუას აღმოსავლეთით მტერმა უნაყოფოდ სცადა ჩვენს თხრილებში შემოჭრა.

მახლობელ აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედების ოფიც. ცნობა. ენიკიოსთან ბრძოლა 21 ენკენისთვეს დილის 3 საათზე ჩვენის გამარჯვებით დასრულდა. სერესისაკენ მიმავალ

...რაზმები მდ. ჩარნუს გადიან ობაროვენიბროტის მიდამოებში. მეორე მხრივ წინ წაიწიეს ბაბას მთის ორივ კალთაზე და ბუფ-პოპის მიაღწიეს.

**რომი.** იტალიის მთავარბანაკის ცნობა. 21 ენკენისთვეს მტერმა ახალი ჯარი მოიშველია და კოლბარიკონის მხარეს წინ წაწვდილი თხრილები დაიბრუნა. მტრის არტილერიამ დააზიანა სოფ. სან-ფორნია, ვოლტრი, ტიმაო და გოლიარო. აქ ასეთივე ზიანია გონიცაში.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ფრიდრიხ ნაუმანის აზრი.**

Die Hieté“ ში მოთავსებულია ფრ. ნაუმანის წერილი გერმანეთის დღევანდელ ვითარებაზე. ნაუმანის აზრით ომის დაწყებისას გერმანეთმა ერთბაშად და ჭარბად გამოიყვანა ბრძოლის ველზე ცოცხალი ძალა და თავსაყრელად მიაყოლა ყოველგვარი სამარი

რუსეთის მოსალოდნელ ხვედრის გამო არა მარტო სამხედრო საქმის მხრივ.

ჯერ გამორკვეული არ არის რა მოსაზრებით ვერ გაჰბედეს გერმანელებმა თავისი გამარჯვების ბოლომდე მიყვანა იმ ზამთარსვე. ჯერ არ ვიცით რა მოსაზრებით შეჩერდნენ გერმანელები 1000 ვერსზე გაჭიმულ ისეთ ბრძოლის ხაზზე, რომელსაც არავითარი ბუნებრივი სიმაგრე არ იფარავდა. ჯარის სიმცირეს ვერ მივაწერთ, რადგანაც ვერდენთან თებერვლის ბრძოლამ დაამოწმა სულ წინააღმდეგი.

ამ შემთხვევაში, რუსების ჩვეულებისამებრ ჩვენც სასოებით უნდა აღვიაროთ, რომ გერმანელებს ღვთაებრივმა ძალამ შეუშალა ხელი.

როდესაც შევიტყეთ, გერმანელებმა გადასწყვიტეს საფრანგეთ - ბელგეთის ასპარეზზე გადატანა სამხედრო მოქმედებისა, მაშინვე მივხვდით, რომ გერმანელებმა ომი წააგეს. -„დასავლეთის ასპარეზზე ვერ გაგვტეხავსო“, ვიფიქრეთ ყველამ. დარწმუნებული

დაბრუჯის კუთხისა. ამ ადგილების დაბყრობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსალოდნელია აქ ამ მოკლე ხანში დიდი ბრძოლა დაიწყოს და სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდეს.

—

საბერძნეთში მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენელნი ვენიზელოსს მხოლოდ საქმეზე ელაპარაკებიან და არა ოფიციალად. კალოგეროპულოსის კაბინეტსაც უკანონოდ სცნობენ და მოკავშირენი მასთან არავითარ კავშირს არ იჭერენ. მეფის სამყოფი კი ციხე-სიმაგრედ არის გადაქცეული.

—

ძირითად კანონების 87 მუხლის მიხედვით გამოიცა ახალი კანონი, რომლის ძალით სისხლის სამართალში იძლევიან ის ვაჭრები, რომელნიც სანოვაგე-სურსათის ნიხრს ან აძვირებენ და ან აფოლებენ.

—

**მთავრობის დაწესებულებანი.**

მეფის ნაცვლის საბჭომ თბ. საბალოსნო სკოლის წყალსაყვანის გასამართად 3.334 მან. გადასდო.

✦ **ყვირილა-ხაშურის უღელტეხილი.** მეფის ნაცვლის საბჭომ მოისმინა ინჟ. ი. ი. დადიანის მოხსენება ჰიდრო, - ელექტრონულ გზის გამართვის შესახებ ყვირილასა და ხაშურს შუა სიგძით 59 ვერსისა. საელექტრონო ძალის მისაწვდენი სადგური ამ უღელტეხილზე მოძრაობას 336—700 ვაგონს მოუმატებს დღეში, ვიდრე ეხლა რკინის გზა იძლევა და ხარჯებიც 60 პროცენტით შემცირდება. სადგური ხოფის წყალსა და ჭამის წყალის პირას უნდა გაიმართოს მთიან ადგილას, სადადიანოში, ზუგდიდის მაზრაში. მეფის ნაცვლის საბჭომ მიიღო ეს მოხსენება მთლიანად და მოიწონა. საქმე ეხლა იმაზედაა დამოკიდებული, რამდენად ეს მოხსენება გზათა სამინისტროს მოთხოვნილებას დააკმაყოფი-

✦ **პურის ნიხრი.** დღეს კ. ი. შაშკოვსკის თავმჯდომარეობით დანიშნულია თათბირი პურზე ნიხრის დაწესების შესახებ.

✦ **ქალაქთა კავშირის კრება.** 23 ენკენისთვეს შესდგა ქალაქთა კავშირის სხდომა, რომელმაც დაპყრობილ ადგილების მცხოვრებთა გამოსაკვებად 5 მილიონი მანეთის ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა. ამავე კრებაზე ბაქოს საკვებ კომიტეტის რწმუნებულად არჩეულ იქმნა გრ. ტ. რობაქიძე.

✦ **ქალაქთა კავშირის დაწესებულება** დღეიდან ახალ ბინაზე გადადის, საკრედიტო საზ. სახლში, პუშკინის ქუჩაზე „ტრეუგოლნიკის“ თავზე.

**სასწავლებლები.**

✦ **მედიცინის ფაკულტეტი.** კვირას 2 ღვინობისთვეს, არტისტ. საზ. საკონცერტო დარბაზში იხსნება ქალთა უმაღლეს კურსების სამედიცინო ფაკულტეტი. ლექციების კითხვა 3 ღვინობისთვიდან დაიწყება.

✦ **საფერშლო სკოლა** მიმდინარე სამოსწავლო წლიდან უკვე გადაკეთე-

ბულ იქმნა „კავკასიის საფერშლო სასწავლებლად“. პროგრამა სკოლისა გაფართოებულია. შეტანილია ახალი საგნების სწავლება—გეომეტრიისა, ფიზიკისა, ზოოლოგიისა და ბოტანიკისა.

◆ **თბილისის** ქართულ გიმნაზიაში გალობის მასწავლებლად მიიწვიეს ჩვენი ახალგაზდა მუსიკოსი ბ. გიორგი დიონისისძე სვანიძე, რომელსაც თბილისის საიმპერატორო მუსიკალური სასწავლებელი აქვს დამთავრებული.

◆ **კავკ. საფერშლო სკოლაში** მისაღებ მოწაფეთა გამოცდა დამთავრდა. სულ იჭერდა გამოცდას 112 ყმაწვილ-კაცი. ამ რიცხვში მიღებულია 30: ქართველი 15, რუსი 12, სომეხი 4, ლეკი 1, ბერძენი 1 და პოლონელი 1.

**რკინის გზებზე.**

◆ **კახეთის რკინის გზის** სარევიზიოდ დღეს მიემგზავრება საგანგებო რევიზია თ-დ, დ. ე. ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

**სხვა და სხვა ამბები.**

◆ **კვირას**, 25 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 11 საათზე, შალვა რატიანის კანტორაში, სიონის ქუჩაზე, ანანოვის ქარვასლაში, დანიშნულია თბილისის კოოპერატიულ საზოგადოების „შრომი“-ს საზოგადო კრება. კრებაზე სხვათა შორის მოხდება გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

◆ **კოლექციის შეძენა.** პეტროგრადიდან მიღებულ ცნობის მიხედვით 15 ამა თვეს, გრ. ა. ა. ბობრინსკის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონია არქეოლოგიურ კომისიას, რომელსაც განუხილავს საკითხი შესახებ იმისა, რომ შეძენილ იქმნას მდიდარი კოლექცია თბილისში კარგად ცნობილ ფოტოგრაფის ბატონ ერმაკოვისა და ის აზრი გამოუთქვამს, რომ ამ კოლექციას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და უთუოდ შეიძინოს კომისიამო. როგორც ვიცით, ამ კოლექციის შეძენის შესახებ მოლაპარაკება ჰქონდა ბ-ნ ერმაკოვთან ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეს ბ-ნ ექ. თაყაიშვილს, მაგრამ მოლაპარაკება ჯერაც არ დასრულებულა. ბ-ნ ერმაკოვის ფოტოგრაფიული კოლექცია მართლაც მდიდარია და იგი გადაღებულია ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში.

◆ **თბილისის კოოპერატივის** წევრებს დღეს, 25 ენკენისთვეს, დილის 11 საათზე, კრება ექნებათ. სხვათა შორის გადასაწყვეტია საკითხი შესახებ განყოფილების გახსნისა. აგრეთვე ასარჩევია რამდენიმე თანამდებობის კაცი.

◆ **თბილისის საბაღოსნო სკოლას** თავი უსახელებია ბოსტნეულობის გახმობაში. ამ სკოლის გამგეს ბ-ნ პ. მელიას, რომელიც ხელმძღვანელობს ბოსტნეულობის გახმობას, გასულ სეზონის ბოლოს 2.000 ფუთამდე გამხმარი ბოსტნეული ჩაუბარებია მიწადმოქმედების სამინისტროს უწყებისათვის.

◆ **„ბაღის-უბნის“ საზოგადოების** ხელმძღვანელთ ამ დღეებში თათბირი ჰქონდათ, რომელზედაც თავისი მოხსენება წაიკითხა ინჟინერმა ლ. ნ. დიასამიძემ. მოხსენება შეეხება ბინების გაშენებას საზოგადოების წევრთათვის, როცა საზოგადოება შესაფერისად მოეწყობა ქალაქის რომელიმე განაპირა ადგილას. დედა აზრი მოხსენებისა მოწონებულ იქმნა. ეს მოხსენება უნდა გააცნოს ბ-ნმა დიასამიძემ საზოგადოების საერთო კრებას, რომელიც დანიშნულია 15 ღვინობისთვისათვის.

◆ **სიონის ტაძრის** ეზოს გამშვენიერებელმა კომიტეტმა სთხოვა ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას იკისროს საზოგადოებამ გაკეთება ეკლესიის გალავნისა ისე, რომ დაცული იყვეს ძველი ქართული სტილიო. ეს წინადადება განხილულ იქნა საზოგადოების კრებაზე 23 ამა თვეს და არსებითად შეწყნარებული.

**დ. საჩხერე**

— მოლაშქრეთა გაწვევის გამო თითქმის ყველა დუქნები დაკეტილია; საერთოდ დაბას სიცოცხლის ნიშანწყალი ოდნავ თუ ეტყობა.

— ადგილობრივი აქაურ სახელოების სამკითხველო დიდ უნუგეშო მდგომარეობაში ვნახე: მუხლამდის ეყარა იატაკზე მტვერი, პაპიროზისა და ასანთის ნამწვავი, სამკითხველოს არა ჰყავს მუდმივი მეთვალყურე, მისი დაკეტვა და გაღება შემთხვევაზე ყოფილა დამოკიდებული, ფოსტიდან დროზე ახალი გაზეთის მომტანი არ არის, მაგიდაზე ერთი კვირისგაზეთები ეყარა; ნეტა რას ფიქრობს ამ დროს სამკითხველოს გამგეობა?

**დ. ძირულა.**

ადგილობრივი სამკითხველო სუფთად და კოპწიად არის მოწყობილი; მოსდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები, შესავალ-გასავლის წიგნიც წესიერად არის ნაწარმოები; სჩანს სამკითხველოს მეთვალყურე ი. ე. ებანოიძე მუყაითად ემსახურება თავის საქმეს.

**ს. კორბოული.**

მოლაშქრეთა გაწვევის გამო ბევრი ოჯახი ჩავარდა სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში; წლის ნაშრომ-ნაღვაწი შეუნახველი ღვთის ანაბარად დარჩა.

**ხონი.**

— სამშაბათს 20 ენკენისთვეს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა და მსახიობ ვლადიმერ სარელის მიერ წარმოდგენილი იქმნა ილია ჭავჭავაძის გლახის ნაამბობიდან: ბატონი და ყმა გად. შალვა დადიანისაგან და „თაიგული“ ვოდევილი ერთ მოქმედებიანი.

— ადგილობრივ ახლად გახსნილ ქალების გიმნაზიაში მეხუთე კლასში მისაღები გამოცდები უკვე დამთავრდა და მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვეს. ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლად დანიშნულია—ი. ჭავჭანიძე.

**აბარაკი წაღვერი.**

უკანასკნელი მოაგარაკენი წავიდნენ, დაცარიელდა წაღვერი. ვეღარ ხედავთ წაღვერის ქუჩებზე ჯგუფად მოსიარულე ხალხს, აღარ ისმის მათი ჟივილ-ხივილი, ღრიანცელი; ვეღარ ხედავთ მეპურესთან დაგროვილ ხალხს, არ გესმით მათი წყევლა-კრულვა, ჩივილი და თითქოს სიამეს გრძნობთ ყველა ამის შემდეგ.

ბუნებაც იცვლება... ტყე ყვითელწითელ სამოსელით ირთვება და უფრო ტურფა, უფრო მომხიბლელი ხდება. პატარა პარკი ექვსი ათასი კაცის ფეხით გათელილი და მტვრად ქცეული კვლავ ამწვანდა, აბიბინდა; ჰაერი წმინდა და სურნელოვანი გახდა... შემოდგომაა და შემოდგომის მზის სხივები ნაზად და ტკბილად გელერსებიან, გელამუნებიან.

აი ეხლაა აქ ცხოვრება საამო, სასიამოვნო, და სწორედ ამ საუკეთესო დროთი ვერ სარგებლობენ მოაგარაკენი.

— 19 ენკენისთვეს წაღვერს ეწვია საქართველოს ექსარხოსი პლატონი, რომელსაც ახლდნენ ბორჯომის მამულის მოურავი ვინოგრადოვი: ნიკიტინი, ორი მღვდელი და ბორჯომის ბოქაული. ყოვლად სამღვდელომ დაათვალიერა ტიმოთის მონასტერი; მონასტრის დიდებულმა შეხედულობამ, სიძველემ და მხატვრობამ განცვიფრებაში მოიყვანა მათი მეუფება. დიდის ინტერესით და დაწვრილებით გამოჰკითხა მონასტრის მდგომარეობა და ამბავი ბერს მ. პახომს და მწუხარება გამოხატა მონასტრის უმწეო მდგომარეობის გამო—რა კარგი იქნებოდაო,—ბრძანა ყოვლად სამღვდელომ,—რომ ამ მონასტერში მოვიწვევდეთ მონოზნებს, მაშინ გამშვენიერებული და გალამაზებული იქმნებოდა ეს დიდებული ეკლესიაო!..

დიდი მადლობა უთხრა ბერს მ. პახომს მისი დაუღალავი შრომისთვის ამ მონასტრის დაცვა-გამშვენიერებისათვის და უანგარო სამსახურისა გამო საჩუქარს შეჰპირდა ოც თუმანს. შემდეგ ყოვლად სამღვდელო დაბრუნდა წაღვერს, საცა წაღვერის ტყის გამგისაგან მიპატიჟებული იქმნა ჩაიზე. დაჰყო საათნახევარი და შემდეგ გაემგზავრა ბორჯომს.

## მხატვრების საზოგადოება

ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას კრება ჰქონდა 23 ამა თვეს. თავმჯდომარეობდა ბ-ნი გ. ჟურული. კრებას დაესწრნენ მხატვარნი, რომელნიც თითქმის მთელ ზაფხულის განმავლობაში მუშაობდნენ ნაბახტრევში და გადიღეს 19 ფრესკი ძველი კლესიის შენობისა.

როგორც კრებაზე გადასწყდა, ახლო მომავალში უნდა გადაღებული ფრესკები გამოჰფინონ და საზოგადოების წევრებს უფრო დაახლოვებით გააცნონ. კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საპრემიო პროექტები ქართველ მოღვაწეთა პანთეონისა, რომელი პროექტებიც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაამზადებინა. ამ კომისიაში შედიან ბ-ნნი შევარდნაძე, თოიძე, მრევლიშვილი, გაბაშვილი, ნიკოლაძე, მამრაძე და კლდიაშვილი. კრებამ მოისმინა მოხსენება პროფ. ივ. ჯავახიშვილისა შესახებ საზოგადოების მუშაობისა ახლო მომავალში. აგრეთვე მოსმენილ იქმნა წინადადება ანტონ ეპისკოპოსისა შესახებ იმისა, რომ საზოგადოებამ ჩაიბაროს მას მიერ შეკრებილი 600 მ.ნ. ჯვარის მონასტრის შესაკეთებლად და თვითვე იკისროს ამ მონასტრის შეკეთება. ამ წინადადება შესახებ კრებამ დაადგინა: მიანდოს ინჟინერ პ. მამრაძეს შეადგინოს კომისია, რომელიც დაათვალიერებს მონასტერს და შეადგენს მუშაობის გეგმას და ხარჯთაღრიცხვას. ხოლო ამის შემდეგ გადაჭრილი აზრი გამოსთქვას ეპისკოპოზის წინადადების შესახებ.

## ვალიკო გუნია

ჩვენ წრეულს თითქო მის ზოდიაქოს ქვეშ უნდა ვცხოვრობდეთ.

უნდა ვიხსენებდეთ მის ნამოქმედარს, მის განვლილ ღვაწლსა.

უნდა ჩვენის მადლიერი მოგონებით ვამხნევებდეთ ჭარმაგ მოღაწეს და იმავ დროს სამოქმედოთ ვიწვევდეთ ახალგაზრდა ძალებს.

გარდა ამისა, რომ წრეულს განზრახულია პირნახულ მოამაგის საარტისტო იუბილე, მეორე საყურადღებო თარიღიც ვალიკოს მოღვაწეობის, დგება სწორედ წრეულ-ვე.

ოცი წლის წინად 1896 წ. ოქტომბრის 20-ს პირველად გამოვიდა ვალერიან გუნიას გაზეთი „ცნობის ფურცელი“. ეს ის დრო იყო, როცა მთელი საქართველო უგაზეთოდ იყო. ილია ჭავჭავაძის „ივერია“ მთავრობამ დაჰკეტა. არავითარი სხვა ორგანო აღარ არსებობდა და ამ დროს ვალერიან გუნიამ იკისრა და მოახერხა კვლავ ქართული გაზეთის გამოცემა. მართალია პირველ ხანებში გაზეთის პროგრამა მეტად შეკვეცილი იყო, მაშინდელი სასტიკი ცენზურაც დიდათ ავიწროებდა, მაგრამ მიუხედავათ ყოვლივე ამისა, ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ღონიერი ორგანოც გახდა „ცნობის ფურცელი“ და შემდეგ მისი მომდევნო გაზეთები.

ესეც ერთი დიდი მიზეზია, რომ ჩვენი ვალიკო ერთხელ კიდევ მადლობით გავიხსენოთ.

და აი თითქო ამას წრეულს თავი მოვაბით.

თითქო საიუბილეო კომიტეტიც იქმნა არჩეული.

მაგრამ... ეს მაგრამი აქაც გამოგვერია.

სამწუხაროდ არა ვიცით-რა რას აკეთებს ეს კომიტეტი? ან რას უცდის?

რამდენათაც ვიცით, ჯერ ბიოგრაფიაც კი არ შედგენილა დამსახურებულ მსახიობისა და მოღვაწისა.

რას უნდა ველოდოთ?

ხომ დადასტურდა; პრესამ, საზოგადო კრებებმა ხომ დაადგინეს იუბილე ამ შემოდგომაზე გადახდილიყო.

მაშ რათ არ არის მზადება? რათ არ მოქმედობს არჩეული კომიტეტი?

ჩვენა გვგონია, რომ კომიტეტის წმინდა მოვალეობაა დაუყონებლივ შეუდგეს ყოველივეს თადარიგს, დაამზადოს ყოველივე გუნიას სადღესასწაულოდ და როგორც კი ამ ჟამად სამწუხაროდ დაავადებული ვალიკო მორჩება, დავნიშნოთ კიდეც ეგ **მადლობის დღე.**

მივეჩვიოთ დროით მუშაობას, წინაწარ შემზადებას.

ხომ სულ ერთია ეს სამზადისი არ აგვცდება...

მაშ დროით იყოს!

— **ი.**

## თავადი ჯევახოვი

ახლად დანიშნულ სინოდის პროკურორის თანაშემწეს თ. ჯევახოვს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასინოდო წრეებში; იგი თანაშემწეა სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტარისა და კამერ-იუნკერის თანამდებობაც აქვს; მას დასრულებული აქვს უნივერსიტეტი.

წარმოშობით თავ. ჯევახოვი—ქართველია, მისი წინაპარი, თავ. ჯავახიშვილი მოსულა რუსეთში მეთვრამეტე საუკუნეში, ვ ხტანგ მეფის ამალასთან ერთად; დედით კი თავადი ჯევახოვი ჩამომავალია რუსეთში წმინდანად გამოცხადებულ იოსებ ბელგოროდელისა; უკანასკნელ გარემოებისათვის სათანადო ყურადღებაც მიუქცევიათ თურმე.

თავ. ჯევახოვი ცნობილია როგორც საეკლესიო ისტორიის მცოდნე, კერძოდ მას ეკუთვნის წმინდა იოსებ ბელგოროდელის შესახებ დაწერილი ნაშრომი.

თავ. ჯევახოვი ცნობილია როგორც აშკარა მომხრე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა; ამ გარემოებას ზოგიერთნი, მაგალითად, გაზეთი „უტრო როსია“ კიდეც უკავშირებდენ თავ. ჯევახოვის მიწვევას ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე, როგორიცაა სინოდის პროკურატურა.

## სახელდახელოდ

მოლა მასრადინას ოინბაზ ბა.—რჟევსკის გულკეთილობა.—სომხური მწერლობა და მდივანოვის კალენდარი.—ალმასხან კალანდაძის საბუთი.

დიდი ოინბაზი იყო მოლა-მასრადინა. მეზობლის მოტყუება ძლიერ უყვარდა. ერთხელ მეზობელმა დაინახა, რომ მოლა ფლავსა სჭამდა.

მივიდა მეზობელი მოლასთან და უთხრა:—ღვთის გულისათვის, მოლავ.. ძლიერ მშიან, ფლავი ბევრი გქონია და ცოტა მეც მაჭამე.

მოლამ საუბარი დაუწყო მეზობელს.

— ერთი ეს მითხარი: ფლავი სჯობია თუ ყაბლუ-ფლავი?

მეზობელმა უპასუხა:

— შე დალოცვილო, განა მე კი არ ვიცი, რომ ყაბლუ-ფლავი სჯობია ფლავსა. მაგრამ რა დროს მაგაზე საუბარია? შენ ფლავს მიირთმევ და მე კი, მშიერ კაცს, ყაბლუ-ფლავზე მესაუბრები. ეგ საუბარი კუჭს ვერ გამიძღობს. ისა სჯობია, ნუ მომკლავ შიმშილით და ცოტა ფლავი მაჭამე.

კვლავ უთხრა მოლამ მეზობელს:

— მეზობლის დაპატიჟება სადილათ სამადლო საქმეა. მაგრამ სადილიც არის და სადილიც. მე რომ მეზობელს ვპატიჟობ ხოლმე, ჯერ უნდა მივართვა კარგი ბოზბაში ან ჩიხირთმა. შენ რომელი გირჩევნია? ჩიხირთმა თუ ბოზბაში?

— მე, ბატონო მოლავ, ისე მშიან ეხლა, ისე მშიან, რომ მარტო ფლავზედაც არ ვიტყვი უარს, იწამე ღმერთი, მაჭამე ეგ ფლავი.

მოლა ამ საუბრის დროს არხეინათ მიირთმევდა ფლავსა და განაგრძობდა საუბარს:

— არა, ჩემო კარგო, ეს ფლავი არც თუ ისე გემრიელია, აფსუსი არ არის ყაბლუ-ფლავი? საკვირველი კაცი ყოფილხარ, მეზობელო. არც ბოზბაში გინდა, არც ჩიხირთმა... ყაბლუ-ფლავს კიდევ უბრალო ფლავს ირჩევ...

გულ-დაწყვეტილმა მეზობელმა ეს ლა უთხრა ულმობელ მოლას:

— არა, შე ღმერთ გამწყრალო! ვის არ უყვარს ჩიხირთმა, ბოზბაში, ყაბლუ-ფლავი და შილაფლავი? ბოზბაში შენ არა გქონია და ჩიხირთმა. ეგ ფლავიც შხამად შეგერგოს!.. რაცა გაქვს, იმას მარტო შენა ხეთქამ და მეზობლისთვის გენანება. არა, შენ რომ ეხლა ათ ნაირი საჭმელი გქონდეს, მე ვიცი, მთელ მეზობლობას დაუძახებ—მობრძანდით, მიირთვითო?!.

*
* *

რჟევსკის მოხსენება ერობის შესახებ ჩვენში—სწორეთ რომ მოლას ოინბაზობაა. ას თექვსმეტი წელიწადია ჩვენი ქვეყანა ელოდება იმპერიისაგან ცოტა რამ სიკეთეს და სამართლიან წეს-წყობილებასდა ამ ას თექვსმეტის წლის განმავლობაში სულ საუბარი გვესმის. ჯერ იყო და სასაუბრო საგანი გახლდათ—პოლიტეხნიკუმი სჯობია ჩვენთვის თუ უნივერსიტეტი.

მერე იმაზე ატყდა საუბარი—კავკავზე სჯობია რკინის გზის გაკეთება თუ შავი ზღვის ნაპირზეო.

მერე ჩამოვარდა ლაპარაკი—თვით მართველობა სჯობია თუ ავტონომიაო.

მერე იმაზე დაიწყეს ბჭობა—მიტროპოლიტი მივცეთ საქართველოს თუ კათალიკოსიო.

ახლა იმაზეა საუბარი—როგორი ერობა ურჩევნია კავკასიას? ძველი თუ ახალი? ის ერობა, რომელიც არის ეხლა რუსეთში, თუ ის ერობა, რომელიც ეხლა არ არის და რომელიც შესაძლებელია, რომ ოდესმე იყოს?

მოდი და ნუ ეტყვი მოლას: „აი, შხამათ“ კი შეგერგოს ეგ ფლავი...

მოდი და ნუ ეტყვი რჟევსკის... მაგრამ მე რა უთხრა? მოდი, ისევ შენ უპასუხე, მკითხველო.

**ისკანდერ.**

## საზოგადოების საყურადღებოდ

ავად თუ კარგათ ქართველმა ხალხმა განადგურებულ აჭარას ყურადღება მიაქცია. იქ შემოქმედებითი მუშაობა ახლახან დაიწყო, საკეთებელი ერთობ ბევრია. მაგრამ გზა უკვე ნაჩვენებია და იმედი უნდა ვიქონიოთ, ქართველობაც არაფერს დაიშურებს აჭარლების დასახმარებლად და გასათვითცნობიერებლად.

კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე რუსეთის ძლევამოსილმა წინსვლამ ქართველების წინაშე ერთი დიდი საზრუნავი წამოაყენა. ეს არის ჭანეთის საკითხი.

მთელი ჭანეთი ფაქტიურად უკვე შემოერთებულია. ქვეყანა ომისაგან დაზარალებული და აოხრებულია. ჩვენი თანამოძმე ჭანები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. ჩვენი რწმუნებული, რომელმაც მოიარა ჭანეთის ზოგიერთი კუთხე, ხალხის უზომო გაჭირვებას გვატყობინებს ჭანებს საზრდო არ აქვსთ. ხილით იკვებებიან.შიმშილნი—საცოდავ სურათს წარმოადგენენ. გვიშველეთ, გვიხსენით შიმშილისა და განადგურებისაგანო—აი ჭანთა სათხოვარი ქართველებისადმი.

ჩვენი მოქმედებისათვის ჭანების დასახმარებლად გარემოებამ მარჯვე შემთხვევა წარმოშვა. ხალხი გაჭირვებული და აფორიაქებული, გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება. ის დახმარების მოლოდინშია, ელის შველას, გამხნევებას. დრო საშუარია, დავეხმაროთ!

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება თავისი მდგომარეობით მოწოდებულია ამ აუცილებელ საჭიროებას შეძლების და გვარად გაუძღვეს. მაგრამ თუ ფართე საზოგადოება არ გამოეხმაურა ამ საჭიროებას, მარტო ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას საკუთარი ძალღონით გაუჭირდება საქმის დაძლევა და ყველა დაბრკოლების გადალახვა. საზოგადოების დაუხმარებლად იგი ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

გარეშე შემაფერხებელ პირობებს რომ თავი დავანებოთ, უსაღსრობა ჰბორკავს ჩვენი მოქმედების გაფართოებას. ჭანებისათვის თითქმის არაფერი გაკეთებულა ჯერჯერობით. ჭანეთში უნდა წავიდეთ პურით და ძმური სიტყვით. საჭიროა დიდი ნივთიერი და საზოგადოებრივ-კულტურული დახმარება.

მივმართავთ ქართველ საზოგადოებას ამ დახმარების აღმოჩენისათვის. მოუწოდებთ ყველას, განურჩევლად მდგომარეობისა, გამოიღოს თავისი წვლილი გაჭირვებულ ჭანების დასახმარებლად და სანუგეშებლად.

შემოწირულება მიიღება ქარ. საქ. საზოგადოების კანტორაში (თბილისი, თავადაზნაურთა ქარვასლა), საზოგადოების სარაიონო განყოფილებებში და ქართულ გაზეთების რედაქციებში.

ვთხოვთ ყველა ქართულ გამოცემას გადაბეჭდოს ეს მოწოდება.

**ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა.**

## მებრძოლი სახელმწიფონი

**გერმანეთი.**

VII

(გაგრძელება)

მარტო ბერნშტეინი არ ადგია ამ აზრს, იული ვოლფს, გეორგ ადლერს და მრავალ სხვას სულ სხვა მიმართულება შეაქვთ და თანდათანობით შორდებიან ძველს მარქსიზმის ნავთსადგურს. ამათ მოსაზრების გასამართლებლად უცხო ქვეყნებში რომ არ გავიქცეთ, ვთქვათ, ინგლისში, სადაც დეკონცენტრაციის მაგალითებს უფრო მრავალს ვხედავთ, ვიდრე კონცენტრაციისას, საკმარისია თვალი გადავავლოთ თვით გერმანეთში, სადაც მარქსსაც და მის მიმდევრებსაც უმთავრესად უხდებოდათ მოქმედება. საქსონია, მაგალითად, გერმანეთის ერთს საგულისხმიერო საფაბრიკო ოლქად ითვლება. 1879—1894 წლებში, მაშასადამე, გერმანეთისთვის ეკონომიურ განვითარების მეტად მძაფრს პერიოდში, ღარიბი მცხოვრებნი შემცირდნენ და მდიდრები კი, ესე იგი ისეთნი, ვისაც შემოსავალი უკანასკნელი 800—2200 მარკა ჰქონდათ, შესამჩნევად გამრავლდნენ. 1879 წლის აღწერილობით მხოლოდ 18 პროცენტია ასეთი შემოსავალიანი; 1898 წელს ეს რიცხვი 28 ავიდა. რაც შეეხება წვრილს საშუალო წოდებათ, რომელთა შემოსავალი ისაზღვრებოდა 2200—4800 მარკამდე, არც მათი რიცხვი შემცირებულა, როგორც ამას წინასწარმეტყველებდა მარქსის პესიმისტური კრიტიკა, პირიქით საგრძნობლად გაძლიერდა. ასევე გაბათილდა ის დებულება, ვითომც მდიდართა რიცხვი კლებულობდა. იმავე საქსონიაში თუ 1879 წელს 930 მდიდარი იყო, 1894 წელს მათი რიცხვი 2547 ავიდა, ესე იგი, უკანასკნელი სამჯერ მაინც გამრავლდა. მაშასადამე, იული ვოლფის თქმისა არ იყოს, სტატისტიკა კონცენტრაციაზე კი არა, მხოლოდ კაპიტალის ზრდაზე გვითითებს და მეტი არაფერი.

მაგრამ შევჩერდეთ. აქ არ გვაინტერესებს სოციალისტურ მოძღვრებათა და მიმდინარეობათა გაკრიტიკება, ეს სულ სხვა სფეროსათვის გადავდოთ. ამ ჟამად დავუბრუნდეთ [illegible]. ჩვენ ვეცადეთ ამ [illegible] აგვეწერა ფართო საზოგადოებისთვის ის გრანდიოზული შენობა, რომელზედაც დაეყრდნო ახალგაზრდა იმპერიის შენობა. გავეცანით ხალხს, მმართველობას, წესწყობილებას, რაოდენადმე სოციალურ საკითხებს. ამ ერთი თვალის გადავლებით, მცირეოდენი ექსკურსიით საკმაოდ ნათელყავით ფოკუსი გერმანეთის სიძლიერისა, რითაც მიუხედავად კლასობრივი და წოდებრივი სხვა და სხვაობისა მაინც მონახეს ერთი მტკიცე ნიადაგი გაერთიანების და ფოლადის რგოლებით გადაებმენ ერთმანეთზე. ახალგაზდა გერმანეთმა ვილჰელმის მეთაურობით მიიღო ერთი სახე, ერთი მეტყველება, ეს ის მეტყველება, რომელიც, სენობიოსის სიტყვით რომ ვსთქვათ, ინგლისს ერთგვარ „მენე, ტეკელ, ფარესად“ გარდაექცა. და არა თუ ინგლისს, როგორც დავინახეთ, საფრანგეთსაც და შემდეგ თითქმის მთელს ევროპასაც. ამას კარგად გრძნობდენ თვით გერმანელები. მათ სწამდათ თავიანთ მოწოდება, ამიტომ იყო სწორედ, რომ როდესაც დაჰკრა საბედისწერო საათმა უკიდურესი ბიურგერი, კაპიტალისტი, იეზუიტი თუ სოციალდემოკრატთა ახალგაზრდა ვარსკვლავი სახელოვანი ბელადი ფრანკი სიხარულით გარბიან ბრძოლის ველზე და იქ ჰპოვებენ სიკვდილს სამშობლოს ბაირაღის გასანარჩუნებლად, რომლის სახებას თვითეული მათგანი გულში ისვენებს, მითი ჰსუნთქავს, მითი ამაყობს, და მიტომაც ასე თავგანწირულებით, ამაყად, თავისუფლად, ერთ ადამიანსავით მოიმღერს რეინის ნაპირებიდან: „ყოველისფერი გერმანეთისთვის!.. ყოველისფერი მის მიერ!.“

**De-Ka**

(შემდეგი იქნება)

P. S. ამ წერილის შუა ნაწილში, რომელიც „საქართველოს“ მე-211 ნომერში დაიბეჭდა, მეათე სტრიქონზე, თვითონ მთელი წინადადებაა გამოტოვებული, რის გამოც სრული გაუგებრობა გამოდის. სწერია: „ბისმარკის ასეთი წინასწარ მეტყველებათა პარტია ღმერთობას ჩემულობდა, სწრაფ გაზრდისთანავე სწრაფადვე ჩაიფერფლა“. უნდა იყოს: „ბისმარკის ასეთი წინასწარ მეტყველება სავსებით გამართლდა სოციალ-დემოკრატთა თავზე. გერმანეთში, სადაც მათი პარტია ღმერთობას სჩემულობდა, სწრაფ გაზრდისთანავე სწრაფადვე ჩაიფერფლა“ და სხვა.

**De-Ka.**

## ჩემი პასუხი

(დასასრული. იხ. „საქართვ.“ № 212)

2. შემკითხველები ბრძანებენ, ვითომ მე ვიყვე სუხოდოლსკის მოურავად და მქონდეს საკომისიო დამოკიდებულებანი კერძო პირებთან, მაგალითად, ტრიფონ ლამბაშიძესთან.

თუ რამდენად მოშორილია ჩემი სუქოდოლსკის მოურაობა, მკითხველს ვთხოვ გაიგოს ჩემი პასუხიდან ბ. სტუმრისადმი (იხილე „სახალხო ფურცელი № 666). მაგრამ ეს არაფერია იმ საზიზღარ და მდაბალ ჭორთან, რომელიც შემკითხველებმა შეთხზეს ჩემ ვითომდა სხვა და სხვა პირებთან საკომისიო დამოკიდებულების შესახებ, რომლის დასამტკიცებლადაც მოიყვანეს ამხანაგობის მიწერ-მოწერა ტრიფონ ლამბაშიძესთან. აქ წინდაწინვე ვაცხადებ, რომ ერთ საბუთსაც ვერ დაასახელებს ვინც უნდა იყოს ძე ხორციელი, რომ მე საკომისიო დამოკიდებულება ვისთანმე მქონდეს. მთელი ჩემი მოქმედება თელავის ამხანაგობაში იქითკენ არის მიმართული, რომ მომხმარებელსა და მწარმოებელს შუა მოისპოს ყოველივე შუამავალი, კომისიონერი და სხ... ჩემი მრწამსია, რომ როდესაც თავის ნაწარმოებს ჩვენი ერი თითონვე უპოვის ბაზარს შუამავლებისა და ჩარჩ-კომისიონერების დაუხმარებლად; როდესაც თავის მეურნეობისა, მრეწველობისა და ოჯახისათვის საჭირო საქონელს და მასალას ისევ თითონვე შეიძენს მწარმოებელთაგან, შუამავლების დაუხმარებლად, მაშინ მართლა თავისუფლად და დამოუკიდებლად ამოისუნთქებს ჩვენი ერი. ხოლო ეს ეკონომიური დამოუკიდებულობა,—მრწამს,—ის ოქროს აკვანია, რომელშიაც ასვენია პოლიტიკური თავისუფლება ჩვენი ერისა.

ბევრს თავს არ შეგაწყენთ, მოკლედ მოგახსენებთ, რომ შემკითხველებმა პირდაპირ ჩემ სამლოცველო ტაძრის წმიდათა-წმიდას შეახეს ხელი და მომაწერეს ის საქმე, რის წინააღმდეგაც

მე თითონ ვმოქმედობ. შაბიამნის შეძენა ინგლისში, გოგირდისა იტალიაში დავით ლამბაშიძის დახმარებით, ხორბლისა და ფქვილისა ყუბან-დონის ოლქებში და სტავროპოლის გუბერნიაში, სიმინდისა თერგის ოლქში პირდაპირ მწარმოებლებისაგან და სხ. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად შეძლებისადაგვარისი ცდა იყო ჩვენ მიერ.

შემკითხველები კი უსირცხვილოდ სულ სხვა რამეს მაწერენ მე. მერე რა უფლებით? განა აქვთ რაიმე საბუთი? არავითარი. ასახელებენ ტრიფონ ლამბაშიძესთან მიწერ-მოწერას. ეს პატივცემული პირი თბილისში ცხოვრობს და იმედია ყველა დაინტერესებულ პირს გააგებინებს, თუ რისთვისა და რაზე გვქონდა მასთან მიწერ-მოწერა. გარდა ამისა მთელი მიწერ-მოწერის ასლები და პირები ინახება ამხანაგობის საქმეებში, რის შემწეობითაც აგრეთვე შეუძლიან მსურველს გაეცნოს ამ საკითხს. ასევე დააკმაყოფილებს ცნობის მოყვარეთ დავით ლამბაშიძე, თუ ლონდონში შეეკითხებიან. აქ კი მოკლედ განვმარტავ საქმის ვითარებას.

ევროპაში ომის გამოცხადების შემდეგ, საერთაშორისო დეპეშები იგზავნება მხოლოდ ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე. თელავში კი ამ ენებზე წერა გვეძნელებოდა, რის მიზეზითაც ხშირად ვაგვიანებდით შეკითხვებზე პასუხს. ამის შესახებ მივიწერეთ ლონდონში დავით ლამბაშიძესთან, რის პასუხადაც უკანასკნელისაგან მივიღეთ წერილი 11/24 მარიამობისთვის თარიღით. ამ წერილიდგან ნებას ვაძლევ ჩემს თავს ჩემი პასუხისათვის საჭირო ალაგი ამოვწერო, მხოლოდ თითონ წერილს (ასლს) ვუგზავნი რედაქციას.

აი რას მწერდა დავით ლამბაშიძე ლონდონიდან:

„ტელეგრამები ჩემზე გამოსაგზავნად ჩემს ბიძაშვილს ტრიფონ ლამბაშიძეს გადუგზავნე ხოლმე თბილისში და ის მე გამომიგზავნის ფრანგულად, რადგან მან ფრანგული კარგად იცის და საფრანგეთშიაც არის ნამყოფი.

აი ასე გვწერდა დ. ლამბაშიძე ლონდონიდან და ჩვენც მას შემდეგ ასე ვიქცეოდით; ვუგზავნიდით მის ბიძაშვილს ტრიფონ ლამბაშიძეს დეპეშებს თბილისში, იქიდგან ფრანგულის თარგმანით ლონდონში გადასაგზავნად. ეს ორ სართულიანი მიწერ-მოწერა საქმეს გვირთულებდა, მაგრამ რა გვექნა, ჯერ-ჯერობით სხვა გასაქანი რომ არა გვქონდა. თითონ დ. ლამბაშიძესაც ორნაირი ხარჯი მოსდიოდა, რასაც ის ჩივის თავის წერილში 20 გიორგობისთვის (3 ქრისტიშობისთვის) თარიღით, რომლის პირი რედაქციას ამასთანავე ეგზავნება.

აი თურმე რისთვის გვიწარმოებია მიწერ-მოწერა ტრიფონ ლამბაშიძესთან. ვგონებ სავსებით დავაკმაყოფილე ცნობისმოყვარეობა შემკითხველთა, მაგრამ ახლა მე თვით მინდა გავიგო, თუ რისთვის უნებებია ამისთანა შეკითხვით მოემართათ ჩემთან ხუთში იმ სამ პირს მაინც, რომელნიც ძალიან ახლო უდგნენ ჩვენ საქმეს და კარგად უნდა სცოდნოდათ ამ ამბავის ვითარება. სახელდობრ, გამგეობის თავმჯდომარის მაგიერის ივანე კარბელაშვილის ხელშიც არის მოსული დ. ლამბაშიძისაგან ისეთი წერილები, რომლებშიაც ტრიფონ ლამბაშიძეზე ცოტა რამ არ არის ნათქვამი. გარდა ამისა ჩემგან ზემორე მოყვანილი წერილები არის ჩაკერებული სწორედ იმ საქმეში, რომელშიაც ბევრი მოიპოვება ივ. კარბელაშვილის ხელით ნაწერი ქაღალდები. ამ ვაჟბატონმა, როდესაც ოთხი თვის განმავლობაში ჩემ მოვალეობას ასრულებდა, თუ იმას საქმე უყვარდა და სწადდა რიგზე წაეყვანა იგი, რატომ არ გაეცნო ამ საქმეს და თუ გადაკითხული აქვს დ. ლამბაშიძის წერილები, იცოდა ყოველივე ამა პასუხში მოხსენებული და მაინც გვეკითხება ჩვენ,—ვაცხადებ, ამ შემთხვევაში, ჩემგან სულ სხვანაირ პასუხს მიიღებს, რადგან ამისთანა შემკითხველებს პასუხის მაგიერ სხვა სახელს უწოდებენ ხოლმე... ასევე ითქმის ექ. ავალიშვილზე, რომელიც ერთი თვის განმავლობაში ჩემსავე მოვალეობას ასრულებდა გამგეობაში. ალ. ვახვახიშვილი ხომ წელიწად ნახევარი იყო საბჭოს თავმჯდომარედ და ამისთანა გასაოცარი საქმის უვიცობა იმ კაცის მხრივ, რომელიც დაწესებულებას თავში უდგა, პირდაპირ სამარცხვინოა, თუ მეტი არა ვთქვით. ნეტა რათ თანხმდებაიან ამისთანა ვაჟბატონები ამა თუ იმ თანამდებობაზე, თუ არც საქმე აინტერესებთ და არც მუშაობის ილაჯი და უნარი აქვთ?!

3. შემკითხველები ბრძანებენ, მითომ, მე ამხანაგობის მიერ შეძენილ ორ ვაგონ შაქრიდგან ერთი ვაგონი ლაღიძის ქარხნისათვის მიმეყიდნოს.

ამაზედ მოგახსენებთ შემდეგს: ამხანაგობას ჰქონდა შეძენილი ერთი ვაგონი 00461 ნაკლადნოით და არა ორი. ლაღიძისათვის ამხანაგობისა ერთი გირვანქა შაქარიც არ მიმიყიდნია. ლაღიძეს ფირმის ადრესი ვასწავლე, სხვა არაფერი. იმან თითონვე გადუგზავნა ფული ფირმას მოსკოვში. შემდეგ ამხანაგობის გამგეობამ ფირმას წერილობით სთხოვა მიეღო ფული ამხანაგობის ანგარიშში და ნასყიდობა მისივე პირობებით. ამ სამსახურში ლაღიძესაგან ამხანაგობას დარჩა 185 მან. 29 კაპ. ეს ოპერაცია იმიტომ არის აღნიშნული ამხანაგობის დავთრებში, რომ შემდეგში, თუ ვინმე დაინტერესდებოდა, აღმოეჩინა, რომ ამ მეორე ვაგონ შაქარში ამხანაგობისა არც ერთი კაპეიკი არ არის დახარჯული, რომ მივასწავლე ლაღიძეს ადრესი არა პირადი ანგარიშისა გამო და რომ ამ ოპერაციიდგან ამხანაგობამ ისარგებლა 185 მან. 29 კაპ. ამასთანავე დავძენ, რომ ეს მოხდა შარშან ზაფხულს, როცა შაქარი რუსეთში თავისუფალი იყო და აქაც ყველგან თავისუფლად იყიდებოდა.

რომ ლაღიძემ ფული თითონ გადუგზავნა ფირმას მოსკოვში, ეს ყველას შეუძლიან გაიგოს ჩვენ საბუხგალტერო წიგნებიდგან და იმედია ბ. ლაღიძე უარს არ მეტყვის და ამ ჩემს ნათქვამს თავის საანგარიშო დავთრებითაც დაადასტურებს. ვგონებ, თუ არა ვცდები, ფული აზოვო-დონის ბანკის საშუალებით აქვს მოსკოვში გადაგზავნილი. ამხანაგობის წიგნებში ერთ და იგივე დროს შემოსულად და გასულად ჩაწერილია ლაღიძის ფული 13 ენკენისთვეს 1915 წ. მუხლი დავთრისა 9278=3500 მანეთი, 17 ენკენისთვეს 1915 წ. მუხლი 9411=3000 მან. სულ 6500 მანეთი. აქედგან შაქრის ღირებულება (ფუთი 6 მ. 45 კაპ.) ანგარიშის (счетъ) მიხედვით უდრის 6314 მ. 71 კ. ხოლო დანარჩენი 185 მან. 29 კაპ. ჩაწერილია ამხანაგობის მოგებად.

4. შემკითხველნი ბრძანებენ: „ერთი ვაგონი ამხანაგობის შაბიამანი არხანგელსკიდან თბილისამდე სამხედრო სამინისტრო ნარიადით მოსული ლუკაშვილმა კერძო ვაჭარს ნიორაძეს გადმოუტანა. ისიც, ძვირი (ფ. 14 მან.) შაბიამანი ამხანაგობას დაუტოვა, და იაფი (ფ. 9 მან. 20 კ.) ნიორაძეს გადასცა“.

აი რაშია საქმე: დ. ლამბაშიძის მეოხებით ინგლისში ჩვენ შევიძინეთ 10.000 ფუთი შაბიამანი, რის დასამტკიცებლადაც ამასთანავე ვადგენ: ანგარიშს დ. ლამბაშიძისას 28 გიორგობისთვის თარიღით და მის წერილს 26 მარტის თარიღით (აქ საჭიროდ ვრაცხ შევნიშნო, რომ ეს უკანასკნელი წერილი ივ. კარბელაშვილის ხელშია მიღებული). დავით ლამბაშიძეს კი ჩვენ სახელზედ ინგლისიდგან გამოუგზავნა 12400 ფუთი გემ ნორდერნკოუსტზე ერთის კონოსამენტით.

მეც მთელი ეს 12,400 ფუთი შაბიამანი გადმოუგზავნე თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას არხანგელსკიდან თელავში, რის დასამტკიცებლადაც ამასთანავე ვადგენ ნაკლადნოებს. *) 992 ფუთს ამ შაბიამნიდან წამოგვიდავა ბ. ნიორაძე, რომელსაც მე პირადად არც კი ვიცნობდი. გამოირკვა რომ ამ დასახელებულ პირს ჩვენზე ორი კვირით ადრე შეეძინა შაბიამანი დ. ლამბაშიძისაგან და მისი სრული ღირებულება გადაეგზავნა დ. ლამბაშიძესათვის ქ. ლონდონში. ჩვენ 992 ფ. შაბიამანზე მაინც უარი ვუთხარით, ვინაიდან ბ. ნიორაძე კერძო ვაჭარი აღმოჩნდა და სამხედრო ნარიადებით გადმოზიდულ შაბიამანს გარდა პირდაპირ მომხმარებელთა, კოოპერატივთა ან მეღვინეობა-მევენახეობის კომიტეტისა ვერავის მივცემდით. ბ. ნიორაძეს, კი თუმცა დავით ლამბაშიძის წერილებიდან დავრწმუნდით, რომ შაბიამანი მისი სრული საკუთრება იყო, მაინც სამხედრო ნარიადებისა გამო უარს ვეუბნებოდით. ამ უკანასკნელმა საჩივარი აღძრა ქუთაისის მეღვინეობისა და მევენახეობის კომიტეტთან. ქუთაისის კომიტეტისაგან მოგვივიდა ორი სწრაფი დეპეშა. აი ერთი მათგანი: „ნიორაძემ მოგვცა ვალდებულება. გთხოვთ გადასცეთ შაბიამანი“.

თავმჯდომარე კომიტეტისა ი. მუღინი.

*) ხსენებული ნაკლადნოები არ მიგვიღია. რედ.

ამ დეპეშის შემდეგ გამგეობამ მოახდინა სათანადო განკარგულება შაბიამნის ნიორაძესთვის გადაცემის შესახებ.

თუ კომიტეტმა თავის განკარგულება უკანონოდ მოახდინა, აბა ჩვენ რა უფლება გვაქვს მათი ჭკუის სწავლება ვიკისროთ. არა მკითხე მოამბეებად სხვეებიც გვეყოლიან. თუ ჰსურთ ამ ხუთ შემკითხველთ, თითონ მიმართონ კომიტეტს შესაფერი შეკითხვით და მე ვგონებ კარგ პასუხსაც მიიღებენ.

არის კიდევ საცილობელი 1400 ფუთი, რომელსაც გვედავება ტრიფონ ლამბაშიძე, ნიორაძე და სხ., მაგრამ ვინაიდგან ამ შაბიამნის ღირებულების ნაწილი ჩვენცა გვაქვს გარდახდილი, ამიტომ გამგეობა არ აძლევს მათ, რადგან საფასურის გარდახდის გარდა, სამხედრო ნარიადებით არის გადმოტანილი არხანგელსკიდან თელავამდე. ეს 1400 ფ. შაბიამანი ღირს 14 მანეთი ფუთი, მაგრამ რომ მივიღოთ მხედველობაში დღევანდელი შაბიამნის ფასები, ამ 1400 ფ. შაბიამნის დატოვებით დიდ სამსახურს გავუწევთ ამხანაგებს, ვინაიდან ეს ფასი შედარებით იაფია.

ამ 12400 ფ. შაბიამნიდან რჩება 10 ათასი ფუთი, რომელიც თელავის ამხანაგობას წინდაწინვე ჰქონდა შეძენილი და რომელიც უღირს მას ფუთი 7 მანეთი 95 კაპ. არხანგელსკში.

მე მიკვირს ამ შეკითხვის მეტის-მეტი უსუსურობა. ივ. კარბელაშვილმა, და მისმა დამქაშებმა ჩემზე ადრე იცოდნენ, რომ ერთი ვაგონი შაბიამანი ნიორაძის უცილობელი საკუთრება იყო და რომელი ჭკუით მკითხავენ, თუ რათ დავუტოვე ამხანაგობას 14 მანათიანი და იაფ-ფასიანი 9 მან. 20 კ. ნიორაძეს გადავეცი. ბ-ნ ნიორაძეს თითონვე ჰქონდა შეძენილი წინდაწინვე დავ. ლამბაშიძისაგან 992 ფ. შაბიამანი, ფულიც თითონვე გარდაეგზავნა, რასაც აღიარებს დ. ლამბაშიძე ზემო მოყვანილ წერილს გარდა კიდევ თავის წერილში 30 მაისის 12 თიბათვის თარიღით. აქ საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო, რომ ნიორაძეს 992 ფუთი შაბიამანი უყიდნია ფუთი 9 მან 50 კაპ. თბილისში ჩაბარებით და არა 9 მან. 20 კაპ., როგორც ამას ამბობენ შემკითხველნი. მაგრამ ამ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს 992 ფუთი იაფად ჰქონდა, თუ ძვირად, ნიორაძეს ნაყიდი და დ. ლამბაშიძეს გაყიდული, ამხანაგობის გამგეობას რა ეკითხებოდა, აქ ის იყო საზეში მისაღები, რომ გამყიდველი დავ. ლამბაშიძე 992 ფუთ შაბიამანს აღიარებდა ნიორაძეს საკუთრებად და ჩვენც, თუ არა სამხედრო ნარიადებით გადმოტანის მიზეზი, სხვა არა შეგვეძლო რა დაგვეხვია ხელზე შაბიამანზე უარის თქმის დროს. აბა, ხუთნო შემკითხველნო, წარმოიდგინეთ, რომ ნიორაძესთვის დავით ლამბაშიძეს უჩუქებია 992 ფუთი შაბიამანი, დანარჩენ 1400 ფუთ შაბიამანზე კი მოჰრიგებია ფუთს 14 მანეთად. აი მაშინ თქვენი შეკითხვა, როგორც მოსამზადებელ კლასის შეგირდის საკადრისო შეკითხვად იქცევა:

„რაღა ისიც ძვირი (ფ. 14 მან.) შაბიამანი ლუკაშვილმა ამხანაგობას დაუტოვა და უფასო კი (ე. ი. დ. ლამბაშიძისაგან ნიორაძესთვის ნაჩუქები) ნიორაძეს გადასცა“.

თუ ეს ვერ მიხვდით ამ შეკითხვის ხელმოწერის დროს, ვაი თქვენ გონებრივ ავლა-დიდებას და თუ მიხვდით, მაგრამ მაინც ხელი მოაწერეთ, ვაი თქვენ ზნეობრივ ავლა-დიდებას.

დ. ლუკაშვილი.

## დაბა-სოფლები

**სოფ. რუისი** (გორის მაზრა). 18 ენკენისთვეს 1916 წ. მოხდა რუისის საზოგადოების კრება ამა სოფლის მამასახლისის თაოსნობით. ბევრი საჭირბოროტო კითხვების გარჩევის შემდეგ, ხალხს ემცნო, რომ მიღებულია მთავრობისაგან ხელმოწერილი ნებართვა კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოების „შეღავათის“ დასაარსებლად, დამაარსებლები გ. ნ. მამაცაშვილი, ს. ზ. მიქელაძე, გურასპაშვილი და სხვები კრებას უყენებენ კითხვას, გსურთ თუ არა მომხმარებელი საზოგადოების „შეღავათის“ დაარსებაო? ხალხი აღტაცებით ეგებება ამ ფრიად სასიამოვნო სასურველ ამბავს და ერთხმად ადგენენ დაარსდეს სოფელ რუისში კოოპერატიული ამხან. „შეღავათი“. ამასთან ირჩევენ დროებით გამგეობას. გამგეობაში ერთხმად არჩეულ იქმნენ, გ. ნ. მამაცაშვილი, ლ. გულისაშვილი, ს. მიქელაძე, ვ. ფანიაშვილი, ვ. ახალკაცი და დ. ჩიკვაძე. ს. ზ. მიქელაძე თხოულობს განთავისუფლებას, რადგანაც მას აბარია მთელი ანგარიშები შემნახველ-გამსესხებელი კასისა ბ. მიქელაძე ცნობილია როგორც ამ სოფლის მოღვაწე თუმცა ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ დრო არ ურჩება საკმარისი და მას ანთავისუფლებენ. სარევიზიო კომისიაში ირჩევენ ა. მამაცაშვილს, გ. ფანიაშვილს და ბუზიაშვილს. დაადგინეს ვინც ჩაეწერება წევრად და არ ექნება ფულად შემოსატანი პაის ფული 10 მან. საწევრო 50 კ., ასეთებს ეძლევათ საშუალება პაის ფული შეავსონ მიწის მოსავლით, როგორიც არის კომბოსტო, ჭარხალი, ლობიო და სხვა.

სხვათა შორის გამოიტანეს დადგენილება, ვინც ჩაეწერება წევრად „შეღავათში“, არარაფერი მიჰყიდონ კერძო მოვაჭრეებს და სულყველაფერი მიიტანონ „შეღავათში“. გამგეობას კი ავალებენ ეხლავე მიმართონ კოოპერატივებს, მთავრობის წარმომადგენლებს, ლაზარეთებს, რკინისგზის მოსამსახურეებს და სხვა დაწესებულებებს, რათა მათ, საჭირო კომბოსტო, ჭარხალი, ლობიო და სხვა, იყიდონ „შეღავათიდგან“ და ამ რიგად ჩამოიშორონ ჩარჩ-მოვაჭრეები. ასეთ ფრიად-სასარგებლო საქმეს ხალხი სიმპატიურის თვალით შეხვდა და იმედი აქვთ, რომ სახელი „შეღავათი“ საქმედ იქცევა და შეღავათს მისცემს, როგორც იმათ, ისე მთელ საზოგადოებას უსურვებთ ნორჩ საქმეს მტკიცე ნიადაგზედ დადგომას და აყვავებას.

ი. მამაცაშვილი.

## წერილი რედ. მიმართ

შემოწირულება ნინო მაჭავარიანის სახელზედ ფონდის დასაარსებლად სოფ. ქვემო-ხვითის სკოლის მოსახმარებლად. ერთდროულად ოც-ოცი მანეთი: თინათინ სვიმონის ასული ჩიკოიძისა, ქეთევან გიორგის ასული სარაჯიშვილისა.

თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი: თინათინ და მიხეილ დიასამიძენი, დიმიტრი ნიკოლოზის ძე დიასამიძე, ქნ. მარიამ გიორგის ასული მაჩაბლისა.

თითო თუმანი: მასწავლებელი ნ. უნაფქიშვილისა, ევა დიმიტრის ასული ფავლენიშვილისა, დარია დიმიტრის ასული გძელიშვილისა, ზაქარია გიორგის ძე ჯავახიშვილი, ივანე გიორგის ძე ციციშვილი, სოსანა ხახულის ძე აბაშიძე, იოსებ გულისაშვილი, ვანო გიორგის ძე გლურჯიძე, ბლაღოჩინი იროდიონ ოქროპირიძე, ქნ. ეკატერინე ზაალის ასული ამილახვრისა. გიორგი მიხეილის ძე თაქთაქიშვილი 5 მან. კონსტანტინე და ვერა დიასამიძენი 15 მ. დიმიტრი დიმიტრის ძე თაქთაქიშვილი 5 მ. ვასილ საჩინოს ძე თაქთაქიშვილი 5 მ. ივანე იასეს ძე თაქთაქიშვილი 10 მან. ქნ. ელენე გრიგოლის ასული მაჩაბლისა 5 მან. ქნ. ნინო ელიზბარის ასული ფავლენიშვილისა 5 მ. სვიმონ ილიას ძე მაჩაბელი 4 მან. სამ-სამი მანეთი: გრიშა ელიზბარის ძე ოვანოვი, ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბელი, ალექსანდრე დავითის ძე ჯავახიშვილი, სიკო ტატვერიძე, ალექსანდრე დავითის ძე დავითაშვილი, დავით ივანეს ძე ციცქიშვილი, იასონ ლევანის ძე ხიმშიაშვილი, სოფიო სამსონის ასული მაჭარაშვილი, მღვდელი დავით კაპანაძე, თამარ გრიგორის ასული ღვინიაშვილი, მღვ. მერაბ ეფრემიძე. სტეფანე ქრისტეფ. ძე ოვანოვი 2 მან.

ორ-ორი მანეთი: ქნ. მარიამ თაქთაქიშვილი, ვასილ ლუარსაბის ძე ზედგენიძე, ზაქარია საძაგლიშვილი, მღვდელი იოსებ კაპანაძე.

თითო მანეთი: მასწავლებელი ბ. ლაზარაშვილი, ქნ. ნინო ირაკლის ასული თაქთაქიშვილი, იულია არჩილის ასული ფანიაშვილი, ქნ. ელენე ანდრიას ასული მაჩაბლისა, მიხა ნუცუბიძე, ეკატერინე მიხეილის ასული ელიოზიშვილისა, სოსო ბითაძე—50 კ.

ამათში შემდეგ პირთ აღუთქვეს ყოველ წლიურად იხადონ ამ ფონდის სასარგებლოდ:

ოცი მანეთი ქნ. ქეთევან გიორგის ასული ჯავახიშვილისამ.

ხუთმეტ-ხუთმეტი მანეთი: ქნ. მარიამ გიორგის ასული მაჩაბლისა, თინათინ და მიხეილ დიასამიძეები, დიმიტრი ნიკოლოზის ძე დიასამიძე.

ათ-ათი მანეთი: მასწავლებელი ნ. უნაფქიშვილი, ზაქარია გიორგის ძე ჯავახიშვილი, ევა დიმიტრის ასული ფავლენიშვილისა, დარია დიმიტრის ასული გძელიშვილისა.

ორი მანეთი მღვდელი იოსებ კაპანაძემ.

ამავე ფონდის სასარგებლოდ აღუთქვეს შემდეგ პირთ შემოიტანონ ერთ დროულად:

ხუთმეტი მანეთი ქნ. მარია ნიკოლოზის ასული მაჩაბლისა.

ხუთ-ხუთი მანეთი: დავით თაქთაქიშვილი, მარიამ ივანეს ასული ციციშვილისა.

ათ-ათი მანეთი: ნინო და ბაბო გლურჯიძენი, ნინო და თამარ წერეთლები.

თამარ გაბრიელის ასული ღვინიაშვილი 7 მან. ივანე იასეს ძე ორჯონიკიძე 2 მან. იოსებ მამაცაშვილი 1 მანეთი.

ეს ფული გარდავეცი ი. დ. მაჭავარიანს.

ქვემო-ხვითის სკოლის მასწავლებელი **ნ. უნაფქიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**

**ამიერ-კავკასიის რკ. გზის**
**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო [illegible])

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **თბილისიდან გადის:** | | | | |
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |
| **თბილისში მოდის:** | | | | |
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | 7 „ | 58 „ | საღ. |

**თუ გსურთ,**

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

**მიმართეთ**
**ცნობის კონტორას**
**ი. თ. გვათუასას**
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
**კულინარული** (მზვარეულობის) **სკოლა**
**ე. ნ. მისტროვისა**
(გრიბოედოვის ქ., № 7.)

სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, სამზარეულოს ჰიგიენის, საჭმელების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საჭმელების, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. სკოლის მიზანია: 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.

სამი თვის კურსი ღირს 25 მან. შეიძლება მეცადინეობა თვიურად და გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.
(10—338—5)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ® თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის
წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
**სუნი და გემოც საამური აქვს**
წლ.

**სავაჭრო სახლი**
**„ძმ. სესიევები და ამხ.“**
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ იანვრიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

**თევზის მრეწველნი**
**ძმ. ძელგველოვები**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ჟმენიშნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.